ᲡᲐᲥᲛᲐᲬᲕᲘᲚᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ნაპალეული



ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 1909 წ.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—ბრძენი.—დექსი ვკაკისა 3

II—ჩვენი ნიშა.—ი. ეგდოშვილისა 6

III—ვინ არიან აზნაურნი.—(დეგენდა) ვკაკისა 9

IV—პოლბერის საუბარი.—(დასასრული) ი. მაჭავარიანისა . 12

V—იმედიც კაი საქონელია.—ზღაპარი, (ნაამბობი ეოდა-
მუსეენ ონიკაშვილის-მიერ. 18

VI—ცელქის დღიურიდან.—(გაბბერტონისა) ანსონ ნიკო-
ლაიშვილისა. 25

VII—ზაფხული.—დექსი ი. ეგდოშვილისა 30

VIII—წმ. ვერონიკას ჩადრი.—სულმა დაგერდეფისა (გა-
გრძელება, ბაჯ. დ—ძისა 31

IX—ივანე გიორგის-ძე მაჩაბელი.—მ. დ—სი. 37

X—სოლომონ გოშაძე.—(ნეკროლოგი) მ. ო—სი . . . 41

XI—წერილები ფიზიოლოგიიდან.—წერილი მეხუთე ივ. გო-
მართელისა 42

XII—ბოტანიკური საუბარი.—(გაგრძელება) სოლომონ
ქურდიანისა 45

XIII—ჰენრიხ პესტალოცი.—მამა ობლებისა და აღმზრდე-
ლი კატობრიობისა, თეო კანდელაკისა 50

XIV—გასართობი:—ა) საჩქაფუნო,—ბ) გაპარული მანე-
თი,—რებუსი და ახსნა 60

საყმაწვილო ჟურნალი

წელიწადი მეოთხე

ივლისი, 1908 წ.

ტფილისი, ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემლისა ქართველთა ამხანაგობისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა
ტფილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—ბრძენი.—ლექსი აკაკისა 3

II—ჩვენი ნიშა. —ი. ევდოშვილისა 6

III—ვინ არიან აზნაურნი —(ლეგენდა) აკაკისა 9

IV—პოლბერის საუბარი. —(დასასრული) ი. მაჭავარიანისა . 12

V—იმედიც კაი საქონელია —ზღაპარი, (ნაამბობი ოდა-
მუსვენ ონიკაშვილის-მიერ. 18

VI—ცელქის დღიურიდან. – (გაბბერტონისა) ივანონ ნიკო-
ლაიშვილისა. 25

VII—ზაფხული.—ლექსი ი. ევდოშვილისა 30

VIII—წმ. ვერონიკას ჩადრი. — სელმა ლაგერლეფისა (გა-
გრძელება, პავ. დ—ძისა 31

IX—სოლომონ გოშაძე.—(ნეკროლოგი) მ. ო—სი . . . 37

X – წერილები ფიზიოლოგიიდან.—წერილი მეხუთე ივ. გო-
მართელისა 38

XI – ბოტანიკური საუბარი. — (გაგრძელება) სოლომონ
ქურდიანისა 41

XII—ჰენრიხ პესტალოცი.—მამა ობლებისა და აღმზრდე-
ლი კეტობრიობისა, თეო კანდელაკისა. 46

XIII—გასართობი:—ა) საჩქაფუნო,—ბ) გაპარული მანე-
თი,—რებუსი და ახსნა 58

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მოიკლა მან წყურვილი,
თავი მაღლა ააღირა,
გაიბერტყა, დაიფრთქვინა
და ყროყინი გაახშირა!

—

ძირს ჩამოხტა მაშინ ბრძენი,
სთქვა: გამოვსცდი ამ ვირსაო!
შეეხვეწა: კიდევ შესვი,
ნუ გამიტეხ; გთხოვ, პირსაო!

—

ხან იქიდან, ხან აქედან...
რა არ უთხრა და ევაჭრა?
მაგრამ მისმა ვერც მუქარამ,
ვერც ვედრებამ ვერრა გასჭრა!..

—

ბრძენმა მუხლი მოიყარა
თავმდაბლობით ვირის წინა,
თაყვანი სცა მოწიწებით,
ნალვლიანად გაიცინა:

—

თურმე ვირი მე ვყოფილვარ
და შენ დიდი რამ ბრძენიო;
მე სხვის სურვილს გადავყევი
და შენ კი ეს არ ჰქმენიო.

აკაკი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი ნიშა

ამოჰოჰო, მამოჰოჰო! შემომესმა ძილში მამაჩემის ხმა და თვალები გავაჭყიტე. მომაგონდა, რომ დღეს პირველი კალო უნდა გაგველეწნა. ვიდრე მე ტანთ ჩავიცვავდი, დატვირთული ურემი ხრიხალში შემოჭრიალდა და მამაჩემი შეუდგა ძნის გადმოყრას კალოში.

— აბა, ფიწლები! აბა, მარდად! გვამხნევებდა მამა, მაგრამ მისი გამხნევება ჩვენ აღარ გვესაჭიროებოდა. ზოგი ულოსა ხსნიდა, ზოგიც ფიწლით ძნასა შლიდა. მზემაც მალე ამოგვისწრო და ჩვენი კალო პაწია, ოქროსფერ მთვარეს დაემსგავსა. მაგრამ მე უფრო კევრის ხალისით ვფუსფუსებდი. მინდოდა მალე შეგვება კევრში ჩვენი კუდვარდა და ნიშა ხარი, რომ ჰოროველა შემომეძახნა. ვიდრე ჩვენ ძნასა ვშლიდით, ხარები კალოს პირში ისე ხარბად სჭამდნენ ძნას, თითქოს გრძნობდნენ, რომ ძნელი სამუშაო მოელოდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთავდა კალოს გაშლაც. მამამ უღელი დაადვა ხარებს და კევრი მოუთრივა. მერე რამდენჯერმე გადაუსვა ორივეს ზურგზე ხელი, თითქოს ებოდიშებოდა, რომ ასეთი ძნელი საქმეა დააკისრა და შედგა კევრზე. „მოიცა შვილო, ცოტა ძნამ ძირს დაიწვოს, შენ მერე შედეგ“, მითხრა მე და გაისმა კევრის შრიალი. ცოტა ხნის შემდეგ მამამ ჰოროველაც დასძახა. წახალისებულმა ხარებმა ნაბიჯს უმატეს. ისინი არც საჭმელს ივიწყებდნენ და გზა და გზა სიჩქარით დასწვდებოდნენ ხოლმე ძნას. დედაჩემი კალოს პირას ფიწალს დაყრდომოდა და სიამოვნებით უყურებდა ჩვენ საყვარელს კუდვარდას და ნიშას.

— ღმერთო, შენ გადმოჰხედე ღარიბ ხალხს, ძლივს არ მოვახწივეთ ვალითა და ვახშით ზაფხულამდე! ჩაილაპარაკა მან თავისთვის და გასწივა ქოხისკენ საუზმის მოსამზადებლად.

მეც მალე ველირსე ჩემს საწადელს. მამაჩემმა კევრი მე დამითმო და თვითონ ფანჩატურის გრილოში წამოწვა. ნიშასა და კუდვარდას არ უნდოდათ ჩემი ძალდატანება, ისეთი მორჩილებით უვლიდნენ კალოს. მე ჰოროველა დავძახე და კევრის შრიალი ბანს აძლევდა ჩემს სიმღერას...

ჩამოცხა... მზემ პირდაპირ კალოს დააყარა თავისი სხივები. ძნა გახურდა, ჩაიმტვრა კევრის ქვეშ, ბზედ იქცა და მის ქვეშიდამ გამოჩნდა შინდისფერი პურის მარცვალი. მამაჩემი მალმალ დაიყრიდა ხოლმე ხელის გულზე ხორბალს და სიამოვნებით დასცქეროდა ნიშა-კუდვარდას და თვის ნაოფლარს.

მზე ჯერ კარგად არ იყო დაშვებული, რომ კალო მოილეწა. ხარები გამოვუშვით და შევრეკეთ ფანჩატურის ქვეშ ჩრდილში, სადაც დანამული ძნა დავუყარეთ. მეც მათ ახლოს წამოვწექ, მათთან ერთად ვისვენებდი. ნიშა ხარი გახარებული დასწვდებოდა ხოლმე ძნას, მიუქნ-მოუქნევდა ყბას და შემომხედავდა თვის დიდრონ თვალებით, თითქოს მეუბნებოდა, ალალია ჩემზე, ვიმუშავე, მოვხან, მოვიტანე და გავლეწეთ.

— ამ, ამ, ამ.. შეჰყეფა უცებ ჩვენმა ბროლიამ, რომელიც საბძლის გვერდით იწვა, წამოვარდა ზეზე და ხრიხალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკენ გაექანა. მართლაც ჩვენს ხრიხალში ერთი მეორეზე მოვიდა ხუთი შეიარაღებული ცხენოსანი. მათ წინ მოუძღოდა ყელზე ჯინჯილ ჩამოკიდებული ჩვენი სოფლის მამასახლისი. მამაჩემი ქუდმოხდილი მიეგება წინ და მოწიწებით თავი დაუკრა. სტუმრებმა მრისხანედ გადმოხედეს. მე ვიგრძენ, რომ ისინი ჩვენთან სასიკეთოდ არ მოსულიყვნენ.

— აბა, ივანე, გამოუჯავრდი აქეთ მაგ შენს ხარებს! უბრძანა მამასახლისმა მამაჩემს.

— ნუ, ნუ დამღუპავთ, შენი მუხლების ჭირიმე. ცოტა კიდევ მადროვეთ, დღეს პირველი კალო ჩავუგდე, გავლეწავ, გავყიდი და მოგართმევთ.

— ნუ გამოსჭრით ყელს ჩემს წვრილშვილს, ძლივს გადავურჩით ზამთარში სიცივეს და სიმშილს, ნუ დაიდებთ ჩვენს ცოდვას... ემუდარებოდნენ მოსულებს ჩემი მშობლები.

— არ შემიძლიან, ნაბრძანებია, უნდა აიკრიფოს **გაწერილი ხარჯი**, ფოსტის ფული... დუდუნებდა მამასახლისი და თან მათრახს ატრიალებდა ხელში.

ცხენოსნებმა კუდვარდაცა და ნიშაც ჩრდილოდამ გამორეკეს, აათვალ-ჩაათვალიერეს და ნიშა, რომელიც უფრო თვალში მოუვიდათ, გაიგდეს წინ. ქვითინებდა დედაჩემი, ავტირდი მეც და მამა კი ფერმიხდილი იდგა კალოს პირს და გარინდებული უყურებდა კუდვარდას, რომელსაც ამხანაგი მოსტაცეს.

— ვაიმე, ნიშავ, ჩვენო მაცხოვრებელო, ჩაილაპარაკა მან და ორი მდულარე ცრემლი გადმოგორდა მის მწუხარე თვალებიდამ. ვტიროდით მე და დედაჩემიც.

ი. ევდოშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ არიან აზნაურნი

(ლეგენდა)

ალექსანდრე მაკედონელმა რომ მთელი აზიის დაპყრობა მოინდომა, საქართველოზედაც გამოილაშქრა. მაშინ მეფობა არ იცოდნენ, მამასახლისობა იყო ჩვენში და მცხეთის მამასახლისი, როგორც ყველაზე უფროსი, განაგებდა ქვეყანას. მამასახლისმა მოულოდნელად მოსულებს მოციქულები მიაგება და მოიკითხა ძღვნით. ოქროს ხონჩაზე ოქროს შოთები ეწყო.

ალექსანდრეს გაეცინა და იკითხა: თქვენში ნამდვილი პური არ მოდის, რომ ხონჩაზე ოქროსი დაგილაგებიათო?

— როგორ არაო?—მიუგეს მოციქულებმა—ჩვენში კი მოდის, მაგრამ ჩვენ გვეგონა, თქვენში არ მოდიოდა, თორემ ამ სიშორეს რა წამოგიყვანდათო!

მოეწონა მეფეს მათი პასუხი და მოინდომა, მეგობრულად რამოდენიმე დღით სწვევოდა მამასახლისს.

ერთხელ, როცა მამასახლისი ხის ძირად მჯდარი ასამართლებდა მომჩივრებს, სხვათა შორის წამოიჩოქა ერთმა და მოახსენა: „დიდებულო ბატონო, ამ კაცს—მიუთითა მეორეზე—მე მივყიდე ცარიელი ადგილი სამოსახლოდ, მაგან მოინდომა სახლის დადგმა და როცა საძირკველის თხრა დაიწყო, მიწაში ორმო ნახა. შიგ დიდ-ძალი განძი იყო: ოქრო, ვერცხლი, ღვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი და მარგალიტი. ახლა მოსულა ჩემთან და მეუბნება: მე განძი კი არ მიყიდნია, ცარიელი ადგილი ვიყიდე და განძი კი შენია და შენვე უნდა წაიღოო!... უნდა რომ უსამართლობა ჩამადენიოს და უბრძანეთ, მომშორდეს, თვითონ წაიღოს, ღმერთმა მოახმაროს, რაც უპოვნიაო"!

შენ რაღას იტყვიო?—მიუბრუნდა მსაჯული მეპასუხეს.

— მე რა მაქვს, შენი ჭირიმე, სათქმელი?—მიუგო მეპასუხემ – მე ადგილი მივყიდე და თუ იქ მიწაში რამე ამოჩნდა, მაგისი იქნება და არა ჩემი. უბრძანეთ, რომ წაიღოს და მე თავი დამანებოს, უსამართლობას ნუ ჩამადენიებსო.

დაფიქრდა მსაჯული; მერე აიღო თავი და მიუბრუნდა მომჩივანს:

— ვაჟიშვილი გყავს?

— გახლავსთ ერთი ღვთის წყალობა!

— უცოლია?

— საცოლო გახლავსთ!..

— 'ეენ?—მიუბრუნდა მოპასუხეს— ქალიშვილი გყავს?

— მყავს, გასათხოვარი.

— მაშ მოილაპარაკეთ ერთმანეთში. ის ქალ-ვაჟი ერთმანეთს შერთეთ და განძიც მზითევში გაატანეთ. ეს მაშინ, თუ ქალ ვაჟს ერთმანეთი მოეწონოსთ, თუ არა, მიაყარეთ იმ გაძს მიწა!— დატოვეთ, ისე როგორც ყოფილა! ნულარც შენ და ნულარც შენაო!

ალექსანდრეს გაეცინა: ეგ სამართალი ახირებულად მიმაჩნიაო.

— მაშ თქვენში რომ მომხდარიყო ამისთანა ამბავი, რა განჩინებას დასდებდნენ?—დაეკითხა მამასახლისი.

— განძს სახელმწიფოდ შერაცხდნენ.

— სახელმწიფოდ?!—სხვის საკუთრებას?

— რასაკვირველია, თუ კი პატრონი არ გამოუჩნდებოდა!..

— ჰმ!.. მზე ამოდის თქვენში?

— ამოდის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰმ... წვიმაც მოდის ხოლმე?

— მოდის.

— მაშ სჩანს, რომ პიროტყვები არიან თქვენში კარგი და ეს ზეციური მადლი—მზეცა ან წვიმაც—მათთვის ყოფილა და არა ადამიანებისათვის, რომელნიც არ ვარგებულან თქვენშიო!

მაკედონელს გაუკვირდა. მოეწონა ეს პასუხი და უთხრა მამასახლისს, როგორც მეგობარს: მე დავტოვებ ნაწილს ჩემი ჯარისას შენს ქვეყანაში მხედართმთავრის აზონის ზედამხედველობით. მათგან შენი ხალხი ისწავლის სამხედრო წესებს და ისინიც შენს ქვეყანაში ისწავლიან ცხოვრების წესწყობილებას. მართლაც დასტოვა ჯარის ნაწყვეტი და თვითონ კი გაეშურა ინდოეთისაკენ.

ზოგი იმ მაკედონელთაგანი დაცოლშვილდნენ საქართველოში და დარჩნენ, როგორც მკვიდრები. არაფერ გადასახადს არ იხდიდნენ, თავისუფალნი იყვნენ და ხალხიც საზოგადოდ დიდ პატივსა სცემდა. იმათი შთამომავალნი დღესაც არიან და იწოდებიან აზონაურებად, ანუ აზნაურებად.

აკაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლბერის საუბარი

(დასასრული)

ზებთან ერთად ნავთსადგურიც უნდა მოვიხსენოთ. თქვენი თვალით უნდა ნახოთ, რომ დარწმუნდეთ, — რამდენი ჯაფა და ხარჯი უნდა დასჭირებოდა რიგიან ნავთსადგურის გამართვას, მოწყობას და წესისამებრ შენახვას. გაგიკვირდებათ, რამ სიგრძე და რამ სისქე კედლებია ზღვის ძირიდგან ამოყვანილი, რა ძვირფასი და საკვირველად მოწყობილი მტვირთავი მანქანებია გამართული...

— ჩვენ რა, ბატონო? ზღვის პირას, სადაც ნავთსადგური არისო, ჩვენ ტყავი უნდა გაგვაძრონ! ნავთსადგურის ხარჯი იმან უნდა იხადოს, ვინც ზღვის პირასა დგას და სარგებლობს ი რაღაც ნავთსადგურია. მე ჩემს დღეში ზღვა არც-კი მინახავს და ისე არად გამომადგება ნავები და იმათი სადგურები, როგორც ბატონიანთ მზარეული.

— ვითომ აგრე, ჩემო ანტონ? აბა დავფიქრდეთ. ამ დილას თქვენკენ გამოვიარე, სამოვარი გედგათ. რას მიირთმევდით, თუ შეიძლება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩაის გიახლებოდით.

— შაქრით, თუ თაფლით? ან იქნება ჩამიჩს ატანდი?

— შაქრით, ბატონო, ჩამიჩი რა სათქმელია!

— ტანთ რა გაცვია, ჩემო ანტონ?

— ხალათი გახლავთ, ჩითისა.

— მერმე ჩვენში ხომ არც ჩაი მოდის, არც შაქარი, არც ჩითსა ჰქსოვენ. საიდგან გაჩნდა, თუ მეტყვი?

— ეგ ხომ კიდეც ვისწავლეთ და გავათავეთ: ჩაი ჩინეთიდგან მოდის, შაქარი და ჩითი ჩვენივე სახელმწიფოს სხვა და სხვა მხარეებიდგან.

— ძალიან კარგი. სწორედ მამაშენს ვკითხავდი ამ ორი დღის წინად,—რად გინდა, ბაგდენ ღვინოს რომ ყიდულობ მეთქი? საზღვარგარეთ ვგზავნიო

ჰოდა საით მოდის ჩაი, შაქარი, ჩითი და ჩვენი ღვდლის ახალი სუბუქი გუთანი, რვა უღლის წილ რომ ოთხ უღელსლა აბამს? საით მიდის ანტონის მამის მიერ საზღვარგარეთ გაგზავნილი ღვინოები? საით და იმავე ნავთსადგურით. გზები და ნავთსადგურები რომ არა გვქონდეს, ერთი ასად გაძვირდებოდა ყველაფერი, რაც დღეს უცხოეთიდგან შემოდის, და ჩვენი ღვინოებიც გაუყიდავი დაგვრჩებოდა... დავამჟავებდით, თუ დავლევდით, როგორ გგონიათ, ყმაწვილებო?

— ჰაი, ჰაი რომ დავლევდით! იმისთანა ლხინი გაიმართებოდა...

ჰო და ხომ ხედავთ, რომ ნავთსადგური მარტო ადგილობრივ მცხოვრებთათვის კი არა, მთელი ერისთვის ყოფილა საჭირო და მაშასადამე მისი ხარჯიც ყველას უნდა ედვას.

გაგეგონებათ, მაღალი მთის მწვერვალზედ დიდრონ შენობას აგებენ, დიდრონ, ძვირფასად ღირებულს, დურბინდს მართავენ და დღე და ღამ ცას გასცქერიან მეცნიერნი. ამ შენობას თავის დურბინდით და სხვა საჭირო იარაღით ობსერვატორია ჰქვია. იმასაც დიდი ფული სჭირდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იმასაც ხალხის მიერ გაღებული ხარჯი ინახავს. იქნება სთქვას ვინმე:

— იქ რომ ვიღაც მეცნიერი ვარსკვლავებსა სთვლიდეს, ჩვენ ფული რად უნდა გადაგხვდესო.

ძალიან შესცდება, ვინც ამას იტყვის.

ვარსკლავებს რომ გასცქერის, მეცნიერებას ემსახურება და მეცნიერება—ხალხის წარმატებას და სიკეთეს. ხომ გახსოვთ, შარშან გაზაფხულზედ როგორ უცბად მოვარდა ჩვენი მდინარე. ზღვასავით მოდიოდა და მთასავით ზვირთებს მოაგორებდა. ისიც ხომ გახსოვთ, ისე გადავრჩით, ქათამიც არავის დაჰხრჩობია. გადავრჩით, მაგრამ იცით ვისი წყალობით? ობსერვატორიამ აცნობა მთელს ხეობას,—თოვლი დნება მთაში, ძალიან მოვარდება თქვენი წყალი, ფრთხილად იყავითო.

სასამართლოები, საპატიმროები, პოლიცია—სულ ჩვენი ფულით ინახება. ხარჯი რომ აღარ გავიღოთ და მართლმსაჯულება მოისპოს, ციხეებიდგან მძარცველები და კაცის მკვლელები გამოუშვან, პოლიცია გაუქმებულ იქმნას, მაშინ უყურეთ ჩვენს უბედურებას: ძველს დროს დავუბრუნდებით და ცალი ხელით რომ სახრე გვეჭიროს, მეორეში გატენილი თოფი უნდა გვქონდეს.

ახლა ფოსტის ხარჯი, ტელეგრაფისა, ხალხის ჯანმრთელობისა... ერთი სიტყვით, საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ყველა ჩვენგანმა შეძლებისა და გვარად უნდა გაიღოს ხარჯი.

— ეგრე კი გახლავთ მერე? მართლა ყველას შეძლებისა და გვარად ახდევინებენ?

— აგრე უნდა იყოს და თუ დღეს აგრე არ არის, ეგ იმას ამტკიცებს, რომ კეთილ განძრახვას უკეთური აღმსრულებელი ჰყოლია. თუ შეცდომა არის რამე, ეგეც მალე გასწორდება. უწინ იყო, ხარჯს მარტო ღარიბი კაცი იხდიდა და შემძლებელნი, მემამულენი კი არაფერს იხდიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ. დღეს ეგ უსამართლობა უკვე მოსპობილია და ბევრ-ლობენ ისე მოაწყონ საქმე, რომ შეძლებისა და გვარად ედვას კაცს ხარჯი.

საჭიროა ყველა ჩვენგანის შეძლების ანუსხვა.

ჯერ მამულები ანუსხეს,—სახნავი, საძოვარი, ვენახი, ტყე... ყველას მამულს შესაფერი ფასი დაადეს და შეატყობინეს მემამულეს: შენი მამული ამდენად დაფასდა და მაშასადამე ხარჯიც ამ დაფასების შესაფერი გადაგხდებაო. მერმე დააფასეს შენობები—სახლები, ქარხნები, დუქნები, წისქვილები და სხვ...

ამ ხარჯს, მამულისას და შენობისას, უძრავი საკუთრების ხარჯი ჰქვიან და სწორედ ამ ხარჯის მოსაკრეფად მოდის ხვალ ხარჯისმკრეფი. მაგრამ უძრავი ქონების გარდა სხვაც არის, არა ნაკლებ დიდი და ძლიერი: შეიძლება კაცს არც სახლი ჰქონდეს, არც მამული, მაგრამ მეტად მდიდარი იყოს და მილიონები ეწყოს ბანკებში. სწორედ ამაზედ არის მიმდგარი დღეს საქმე: აინუსხოს ყველა ჩვენგანის მოძრავი ქონების შემოსავალი და ამ შემოსავალის დაგვარად დაგვადონ ხარჯი.

მამულზედ, თუ ჩვენს შემოსავალზედ დადებული ხარჯი ყველასთვის თვალსაჩინო და ცხადია, რადგან ყველა ჩვენგანს წინადვე მოუვიდა უწყება, ამდენ-ამდენი გადაგხდება წლეულსაო. ყველამ იცის, რა უნდა გაიღოს საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და ამ ხარჯს პირდაპირ ხარჯს უწოდებენ.

მაგრამ ამ ცხად ხარჯს გარდა სხვასაც ბევრს ახდევინებენ ხალხს, ოღონდ ისე, რომ პარსულმა სამართებლის შეხებაც ვერ იგრძნოს. ამას ფარული ხარჯი ჰქვიან. მაგალითი მრავალია. სასამართლოში რომ არზას შევიტანთ რასმე და მარკას დაგვაკრევინებენ ოთხ აბაზიანს, ან მანეთიანს, ფარულ ხარჯს გვახდევინებენ: ეს ფული სახელმწიფო ხაზინაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდის. ფუთ ნავთს რომ შვიდ აბაზად და ხშირად უფრო ეფ-
რადაც ვყიდულობთ, სამ-აბაზს სახელმწიფო ხაზინის სასარ-
გებლოდ ვიხდით, თორემ ეგ რომ არ ყოფილიყო, ფუთი ნა-
ვთი სამ-ოთხ აბაზს არ აღემატებოდა. ასეთსავე ფარულ
ხარჯს ვიხდით, როდესაც ვყიდულობთ ჩაის, შაქარს, თამ-
ბაქოს, ასანთს, საზღვარ გარეთიდგან შემოტანილს საქო-
ნელს. ჩვენი მღვდლის გუთანი რომ გადმოატარეს საძღვარ-
ზედ, საბაჟოზედ მართებლობის მოხელე დახვდა და სამი თუ-
მანი გადაახდევინა; ამიტომ იყიდა ჩვენმა მღვდელმა ასე ძვი-
რად, თორემ ეს რომ არ ყოფილიყო, ყველანი გაიჩენდნენ მაგ
ახალ-გუთნებს.

რამდენადაც სამართლიანია პირდაპირი ხარჯი, იმდენად
უსამართლოა ფარული ხარჯი. უსამართლობა არ არის, მდი-
დარი და ღარიბი ერთნაირ ხარჯს იხდიდეს ასანთში, ნავთში,
შაქარში? ამას უკვე გრძნობენ ⁄ ცდილობენ რამდენადაც შეიძ-
ლება შეამცირონ და სულაც მოსპონ ფარული ხარჯი. უყურეთ
მაშინ, როგორ გაიაფდება და გაადვილდება ცხოვრება.

— წლეულს მეტი რად შეაწერეს მამაჩემს? მამული შეეძი-
ნა რამე, კიდევ კარგი, მაგრამ არაფერი შეგვიძენია და ხარჯი
კი მოგვიმატეს იქნება ხარჯის მკრეფავმა ჩასჯიბოს?

— არა, ვერავინ რას ჩასჯიბავს, რადგან რაც უწყებებში
გიწერიათ, იმას მოაგროვებს და იმასვე ჩააბარებს ხაზინას.

ხარჯი მოგვიმატეს, რადგან სახელმწიფოს წლეულს მეტი
დასჭირებია, ვიდრე შარშან.

ხომ იცით, ხალხი თავის წარმომადგენლებს ირჩევს, დე-
პუტატებს, და იმათ ავალებს სახელმწიფო საქმეების განგებას.
სხვათა შორის ხარჯის გაწერაც იმათი საქმეა. ყოველ წლივ
განიხილავენ დეპუტატები სახელმწიფო შემოსავალ-გასავალის
ნუსხას და, თუ ნახეს, რომ არსებული შემოსავალი ვერ აკმაყო-
ფილებს მოსალოდნელ გასავალს, ცოტას წამოგვიმატებენ, რა
გაეწყობა? ეს განხილვა და ხარჯის წამატება საჯაროდ ხდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატების სჯა-ბაასი გაზეთებში იბეჭდება და ვინ-ცა თვალ-ყურს ადევნებს გაზეთებს, არც გაიკვირვებს ხარჯის მიმატებას.

როგორ ირჩევს ხალხი დეპუტატებს და რა უფლებით მოქმედებენ ჩვენი წარმომადგენელნი—ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკოთ.

ი. მაჭავარიანი.



იმედიც კაი საქონელია

ზღაპარი.

ნაამბობი სპარსეთის ქართველ ყოლა-მუსეინ ონიკაშვილის-მიერ.

I

ერთი ყოველიფრით ბედნიერი კაცი იყო: ჰყავდა მშვენიერი ცოლ-შვილი, უთვალავი ცხვარი, ძროხა; ჰქონდა დიდი ადგილ-მამული და აუარებელი ფული. სუყველა მას შენატროდა. მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, წუთისოფელში ყველაფერი წარმავალია: მოუკვდა საყვარელი ცოლი, დაეხოცა ყველა შვილები, ორი უმცროსის გარდა, გაუწყდა და გაეფანტა ცხვარი და ძროხა, წაუვიდა ხელიდან მიწა-წყალი და სრულიად შემოეხარჯა ფული. ერთი სიტყვით, ისე გაღარიბდა, ისე გაღატაკდა, რომ ლუკმა პური აღარ მოეპოვებოდა, რომ მტირალი და დამშეული ორი ბალღი დაეკმაყოფილებინა.

ჯანის სიმრთელე მაინც შერჩენოდა: იმუშავებდა და მით გამოჰკვებდა თავის თავსა და შვილებს; მაგრამ უბედურებაც ის იყო, რომ აღარც თავი ჰქონდა მუშაობისა.

ისეთი საქმე დაემართა საცოდავს, რომ სხვა ღონე აღარ ჰქონდა,—უნდა მათხოვრობა დაეწყო. მხოლოდ ვერც ეს იკისრა: „რა ვქნაო“, ფიქრობდა, „ვინ რას იტყვის? ვინ დამიჯერებს, რომ ასეთ უკიდურეს მდგომარეობაში ჩავვარდი“?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის გაუწოდო ხელი? გუშინ ყველა ჩემგან მოელოდა მოწყალებას და დღეს მე სხვას როგორ უნდა გავუბედო შემწეობის თხოვნა? ხომ არავინ დამიჯერებს, ხომ ცილს რასმე დამწამებენ! მოდი, რაკი გლახაობაზედ მიმიდგა საქმე, წავალ, შორს სადმე გადავიხვეწები, ქვეყანა დიდია, ღმერთი მოწყალეა,—მართალ კაცს არ გამწირავს, იქ დავიწყებ მათხოვრობასაო“.

ადგა და გაუდგა გზას; თან გაიძღოლა ორი უკანასკნელი ვაჟიშვილი, რომელთაგან ერთი იქნებოდა შვიდი წლისა, მეორე რვისა.

II

მიდის და თვითონაც არ იცის—საით. გასაოცარი ის იყო, რომ ფიქრადაც არ მოსდიოდა ღვთის მდურება: „ალბად ღირსი ვარო“, გაიძახოდა, „რომ ღმერთი ასე მსჯის, დეე, ასრულდეს მისი ნებაო“.

ბევრი იარა თუ ცოტა, მიადგა ერთ მდინარეს. ფონი არა ჩანდა და გასვლით კი უეჭველად უნდა გასულიყო. იფიქრა, იფიქრა და გადასწყვიტა,—ჯერ ერთ ბავშვს გავიყვან, შემდეგ დავბრუნდები და მეორესაო.

აიყვანა ერთი შვილი, შეისვა კისერზედ და შეტოპა წყალში. შუა მდინარეში რომ შევიდა, ტალღამ შემოჰკრა და ბავშვი ხელიდან გააგდებინა. გაიტაცა ყმაწვილი წყალმა, ხან ძირისკენ წაიღებს, ხან მაღლა ამოაგდებს; ბოლოს სრულიად დაიკარგა მხედველობიდამ.

გამობრუნდა დაძმარებული მამა ნაპირისაკენ და რას ჰხედავს? სანამ წყლისაგან წაღებულ ბავშვს თვალს ადევნებდა, ტყიდამ გამოვარდნილიყო მგელი, ეტაცნა ნაპირზედ დატოვებულ ბავშვისთვის პირი და აგერ ტყისკენ მიარბენინებს. საშინელი ელდა ეცა უიმისოდაც უბედურს მამას! შემოიკრა თავში ორივ ხელი ბევრი იქვითინა, ბოლოს მწარედ ამოიოხრა და სთქვა: „ყველა ღვთის ნებაა, მოთმინების მეტი რა დამრჩენიაო“, და განაგრძო მგზავრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

იარა, იარა,—ერთ ქალაქს მიადგა. ჰხედავს, მთელი იმ ქვეყნის მცხოვრებნი ქალაქის მიდამოს გამოსულა და რალაც ფაცი-ფუცში და საქმიანობაში არიან. მიუახლოვდა, მაგრამ, რაკი არ იცოდა, საქმე რაში იყო, ხალხთან მისვლა ვერ მიბედა, შორი-ახლო ქვაზედ ჩამოჯდა და თვალიერება დაუწყო ხალხის მოქმედებას.

იმ ქვეყანაში თურმე ასეთი ჩვეულება იყო: ხელმწიფე რომ მოუკვდებოდათ, შეიკრიბებოდა მთელი საბძანებელი ერთ ალაგას; გამოიყვანდნენ ამ შემთხვევისთვის გაწვრთვნილ მიმინოს, ააფრენდნენ და ვისაც თავზედ დააჯდებოდა, ხელმწიფეთაც ის იქნებოდა არჩეული. სწორედ ამ ამბავს შეესწრო ჩვენი მგზავრი.

იმ დღეს უცნაური ამბავი დაატყდა ხალხს თავზედ: ერთხელ ააფრინეს მიმინო, წავიდა და კლდეზედ შემოჯდა; მეორედ ააფრინეს,—კიდევ არავის დააჯდა თავზედ; ააფრინეს მესამედ, მეოთხედ, მეხუთედ; მაგრამ ვერაფერი გააწყეს: მიმინო არავის აჯდებოდა თავზედ, სულ იმ კლდისაკენ მიიწევდა.

შეწუხდა ხალხი, შეფიქრიანდა, არ იცოდნენ, რა ღონე ეღონათ. ბოლოს თვალი მოჰკრეს ჩვენს მგზავრს. „არიქათ! ვიდაც კაცი ჩანს განმარტოებით, აქ მოიყვანეთ, იქნება საქმე იმის წყალობით მოგვიხერხდესო!“—შესძახეს ყველამ ერთხმივ.

მიიყვანეს მგზავრი, ხალხში შეიყვანეს და აუშვეს ხელახლად მიმინო. წამოვიდა დალოცვილი და იმ საწყალს კი დააჯდა თავზედ. „ეგ არის ჩვენი ხელმწიფე, გაუმარჯოს ხელმწიფეს!“ ყვიროდა გახარებული ხალხი. ჩვენმა მგზავრმა ბევრი იუარა, ბევრი ეცადა, მაგრამ ხელმწიფობას თავი ვეღარ დაახწია: „ერთი ღარიბი კაცი ვარ, უცხოეთიდამ მოსული, ჩემი თავისთვის ვერა მიღონია-რა, სახელმწიფოს მოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლას როგორ შევიძლებო?“—გაიძახოდა საწყალი მგზავრი. მაგრამ ვერაფერმა გასჭრა: წაიყვანეს სასახლეში, ჩააბარეს ყველაფერი: საქმეები, ხაზინა, დოვლათი და დააბინავეს საბუდამოდ.

IV

ზის ახალი ხელმწიფე მდიდრად შემკობილ სასახლეში, მაგრამ იმისი თვალი ვერასა ჰხედავს, იმისი გული ვერაფერს სიამოვნებს: იმას მხოლოდ თავისი დაღუპული ცოლ-შვილი და მიწასთან გასწორებული სახლ-კარი აგონდება. ხელმწიფობამ ვერაფერი არგო, ბედნიერება ვერ დაუბრუნა; სულ დაძმარებული ზის და იგონებს თავის წარსულს, თავის საყვარელ ცოლ-შვილს...

თითქმის ხუთმეტი წელიწადი გავიდა. ერთ ღამეს, როგორც ხშირად მოსდიოდა ხოლმე, ხელმწიფეს მწარე ფიქრების გამო ძილი არ მოუვიდა. ადგა, დაიწყო სიარული ოთახიდან ოთახში, ცდილობდა როგორმე გართულიყო, ნაღველი გულიდან გადაეყარა. კარებიდან ორი დარაჯის ჩუმი ლაპარაკი შემოესმა. ხელმწიფემ იფიქრა: „მოდი, ხომ ვერავინა მხედავს, მივალ ამ კარებიდან, ყურს დავუგდებ, ერთ თავისუფლად ნათქვამს სიტყვას მაინც გავიგებ, თორემ ჩემი ნაზირ-ვეზირების პირმოთნე ბაასის მეტი ხომ ამოდენა ხანია აღარაფერი მსმენიაო.

მივიდა ფეხ-აკრებით, კარებთან აიტუზა და ყური მიუგდო.

V

— კაცო, რას გავჩუმებულვართ,—უთხრა თავის ამხანაგს დარაჯმა,—ღამეა, ძილი გვერევა; მოდი, მოვიგონოთ რამე, ვილაპარაკოთ, გავერთობით და ღამეც გაივლის. სთქვი რამე...

— ეჰ, ძმაო, რა გითხრა? მე ჩემს სიცოცხლეში ტანჯვისა და ვაების მეტი არაფერი მინახავს, რად გინდა ჩემი დარდი თავზედ მოგახვიოო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ სიკეთე მითხარ, თორემ მწუხარება რომ ... ნახავს, შენ, მგონი, იმის ნაათალიც არ გადაგხედიაო, — მიუგო პირველმა.

— თუ ასეა, მოდი დავიწყოთ და მაშინ გავიგებთ, უბედურობაში ვის უფრო დიდი წილი აქვსო, — სთქვა მეორე დარაჯმა. პირველიც დაეთანხმა და მოჰყვა:

— მე მყავდა მდიდარი და ბედნიერი დედ-მამა. ჩვენი სახლ-კარი სავსე იყო აუარებელი დოვლათით. ყველა ჩვენ შემოგვნატრიდა და ჩვენ-კი სხვის შესანატრი არაფერი გვქონდა. მაგრამ ერთხელ მოულოდნელად ჩვენი ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა. ჯერ მომიკვდა დედა, შემდეგ დამეხოცა უფროსი ძმები, დები; გაგვიწყდა ცხვარი, ძროხა, ცხენის ჯოგი. შევრჩით მამას მხოლოდ მე, რვა წლის ბიჭი და ჩემი ძმა, — შვიდი წლისა. მამაჩემს ისე გაუხდა საქმე, რომ ადგა თავის აოხრებულ ბინიდგან და გადასწყვიტა სხვა ქვეყანას გადახვეწილიყო, რომ იქ მათხოვრობით მაინც ერჩინა თავი, რადგან მუშაობაც ალარ შეეძლო.

გაუდგა გზას მამა და თან გაგვიყოლია თავისი შვილები. ვიარეთ, ვიარეთ, მივადექით ერთ მდინარეს. მდინარე დიდი იყო და ფონი-კი არა ჩანდა. რადგან ორი ბავშვის ერთად გაყვანა შეუძლებელი იყო, ჯერ მე შემისვა მხარზედ გასაყვანად, ჩემი უმცროსი ძმა ნაპირზედ დასტოვა და შეტოპა წყალში. მდინარის შუა-გულს რომ მივაღწიეთ, ტალღამ შემოგვკრა, მამამ ხელი გამიშვა და ჩავვარდი წყალში. მატარა წყალმა, მატარა და ის იყო, უნდა კიდეც დამხრჩვალვიყავ, ერთმა მებადურმა ბადე მესროლა, დამიჭირა, გამიყვანა, მომასულიერა, მომიალერსა, გამაშრო და წამიყვანა თავისს სახლში. მებადური უშვილო აღმოჩნდა; მე მიშვილობა და გამზარდა, როგორც თავისი ღვიძლი შვილი. მაგრამ რავქნა, რომ არ მავიწყდება ჩემი დედმამა, ძმები, დები და ნამეტნავად თვალიდამ არ მშორდებიან მამა და ჩემი უმცროსი ძმა, რომელთაგან ერთი წყალში დავტოვე და მეორე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყლის პირას; მათი დარდი ჩემს გულს ნისლივით გადაეფარებია და მლრღნის უწყალოდ, დაუზოგავად დღეცა და ღამეც. მინდა და ვერას გზით ვერ გამიგია, რა მოუვიდა მამაჩემს ჩემს შემდეგ, ისიც შთანთქა წყალმა, თუ გადარჩა? და თუ ვერ გადარჩა, რა დაემართა ჩემს უმცროს ძმას?

— ღმერთო, რა მესმის?!—უეცრივ შესძახა მეორე დარაჯმა ეგ უმცროსი ძმა მე ვარ! მაშ შენ ჩემი ძმა ყოფილხარ! ეგ შენი თავ-გადასავალი ხომ ჩემიც არის! მე რომ შენზედ წინ დამეწყო, სწორედ ასე გიამბობდი ჩემი მშობლების და ჩემს ცხოვრებას!

სთქვა ეს, თავი ველარ შეიმაგრა, ტირილი დაიწყო და ეცა პირველ დარაჯს,—გადაეხვია, ჰკოცნის და თან იმეორებს: „შენ ჩემი ძმა ყოფილხარ, ძმა ყოფილხარო“. როცა ცოტათი გული დაიმშვიდა, ახლა თვითონ დაიწყო თავისი თავ-გადასავალი:

— მეც, ჩემო ძმაო, თუმცა მაშინ პატარა ვიყავ, მაგრამ კარგად მახსოვს ეგ ჩვენი ამბავი, ვიდრე მამაჩემი წყლიდან გამოვიდოდა, ტყიდამ მგელი გამოვარდა და გამიტაცა. მიმარბენინებდა შესაჭმელად,—მაგრამ, ჩემს იღბალზედ, თურმე იქვე მონადირე დაიარებოდა. დაენახა თუ არა, რომ მგელს ვეჭირე, სტყორცნა თოფი და იქვე გააგორა. შემდეგ მოვიდა ჩემთან, ხელში ამიყვანა, მომიალერსა, წამიყვანა სახლში და, რადგან უშვილო იყო, მიშვილობა; მერმე შენსავით ჯარში წასვლა მერგო და ჯარის კაცებს ხომ ზოგჯერ სასახლის დარაჯობაც შეხვდებათ ხოლმე და, აი დღეს, ღმერთმა, თითქო განგებ, დაკარგული ძმები ერთმანერთს-კი შეგვახვედრა!

ამ ლაპარაკს ყური უგდო ხელმწიფემ, ყველაფერი ენიშნა; მიხვდა, რომ ეს ნამდვილი მისი შვილები იყვნენ; თავი ველარ შეიმაგრა, ფიცხლავ კარები გააღო, ეცა ორთავეს და შეჰბღავლა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოდით, ჩემო შვილებო, დაკარგულო შვილებო, ღმერთო, რას ვხედავ!? რას მომასწარ?!

ეხვევა ხელმწიფე თავის შვილებს, ტირის, ჰკოცნის და ველარ გამძღარა მათი ალერსით.

დარაჯებიც მალე დარწმუნდნენ, რომ ხალმწიფე ნამდვილი მათი მამა იყო. დაიწყეს მას შემდეგ ტკბილი ცხოვრება და ერთმანეთთან შეხვედრისთვის ღმერთს მადლობას სწირავდნენ.

ენ—მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სელექის დღიურიდან

გ ა ბ ბ ე რ ტ ო ნ ი ს ა.

თავი III

მ ა მ ი დ ა ს ა ს.

უშინ ლამით მიტომ ვერ განვაგრძე ჩემი მოთხრობა, რომ საწოლი ოთახის იატაკიდან თაგვი გამოძვრა; მე დევნა დავუწყე, ვესროლე წალა და პირსაბანი გავტეხე, თაგვი-კი ვერ მოვკალი.

ახლა განვაგრძობ. მე და სადგურის უფროსი ძალიან დავმეგობრდით. მე იმას ყველაფერი ვუამბე; ჩემს დებზე, მამიდა ბეტსიზე—ყველაფერი, სულყველაფერი! იმასაც ძალიან შევებრალე, გზის ფული არ გამომართვა და მოთმენას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირჩევდა: „მე რომ შენოდენა ვიყავ,—ყოველ დღე მცემდენ, მაგრამ არაფერი, მივეჩვიე! ბაყაყი ჭაობში იმიტომაა, რომ, მას ტყავი აძრონ; შენ შენი დების ბედის ჩამშლელი ნუ იქნები; ამერიკაში ომს შემდეგ საქმროები ძლიერ გაძვირდენ და გასათხოვარი ქალები კი ბევრიაო“.

რა კეთილი რამ არის! სიკვდილამდე არ დამავიწყდება. იმისი სიკეთე. დილის ცხრა იყო, ხოპერტუანში რომ მივედით; გამოვძვერ ვაგონიდან, დიდი ხნის მეგობარსავით მაგრა ჩამოვართვი ხელი სადგურის უფროს და გამოვეთხოვე. მეც უთუოდ სადგურის უფროსი ვიქნები, როცა გავიზდები. რა სასიამოვნო ხელობაა! ისეირნე მატარებლით იქით-აქეთ...

სადგურთან ვილაც ბავშები თამაშობდნენ და ძალიან გაუკვირდათ ნახშირის საზიდ მატარებლით ჩემი მისვლა. მაშინვე გამიცნეს და სათამაშოდ მიმიწვიეს. „მოდი, ცოტას წავითამაშებ“,—ვიფიქრე,—„მამიდას ჯერ ალბად სძინავს; იმის გახარებასაც მოვესწრობი“. მაგრამ ბავშები ისეთი საძაგლები ყოფილიყვნენ, ისეთი უზრდელები!.. მომპარეს ფულები, დამიხიეს ხალათი და ამომსვარეს ტალახში. ტყუილად კი არ დაუწერიათ ერთ ჩემს წიგნში: „უფრთხილდი სხვის ძალებსაო“.

შუადღისას, როგორც იყო, მივაღწიე მამიდასას. სიმშილი მხოლოდ მაშინ ვიგრძენ, როცა სამზარეულოდან ტკბილი ხაჭაპურების სუნი მეცა. მამიდა მარტო სადილობდა.

— ძალნო ცათანო! ჟორჟ ხაკკეტი!—შეჰყვირა მამიდამ, ხელიდან დანა გაუვარდა და თეფში გატეხა.—საიდან სადაო? ვინ დაგახია ტანისამოსი? ვინ დაგაკაწრა პირისახე?

— მამიდა! მე სიცრუე არ ვიცი. შინიდან გამოვიპარე.

— გამოიპარე!!! გამოიპარე ისეთი მშვენიერი სახლიდან! გამოეპარე ისეთ კეთილ მამას, საყვარელ დედას და ისეთ...

აქ კი ენა დაება, თითქო დაიხრჩო; ალბად საცეკვაო სალამო მოაგონდა.

— ახლა კი მესმის. შენი დები მოსვენებას არ მოგცემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლნენ. ის ქალბატონები ვის არ ამოაკვეთინებენ ფეხს სახლიდან! მიამბე, ჩემო საწყალო ბიჭო, შენი თავგადასავალი!

მეც ყველაფერი ვუამბე; ვაჩვენე ჩემს ტანზე სისხლიანი ლარები, მიზეზი მისი გაჯავრებისა და ჩვენი სახლიდან წამოსვლისა. როცა სურათების ამბავი ვუთხარი, მოხუცის სახეზე ღიმილი შევნიშნე. ეტყობოდა, იამა ჩემი დების მახეში გაბმა.

— ჟორჟიკ, შენ ძალიან ცუდად მოქცეულხარ, მაგრამ ბავშები ცელქობაში იზრდებიან. გმადლობ, რომ არ დამივიწყე; ძალიან მიხარია შენი ნახვა. აბა, გაიქე ჩქარა სამზარეულოში, ხელ-პირი დაიბანე და მოდი, სადილი სჭამე, თორემ წიწილი გაცივდება.

— მამიდა, მაძლევ სიტყვას, რომ არ შეატყობინებ ჩვენებს ჩემს აქ ყოფნას?

— ფიქრი ნუ გაქვს, ისინი ჩემგან ვერაფერს შეიტყობენ.—გადაჭრით მითხრა მოხუცმა.—შენ ჩემთან იცხოვრებ, სანამ დიდი არ გაიზრდები.

როგორც ხედავთ, მამიდა ძალიან გაჯავრებული იყო ჩვენებზე, რადგანაც ჩემს დებს არ უნდოდათ მისი სალამოზე დარჩენა. ისე მაძალებდა საჭმელებს, რომ ხაჭაპურის მესამე ნაჭერს ველარც კი ვაჯობე. ხალათი თავისი ხელით დამიკერა და საშინლად მეფერებოდა. სალამოს, იმავე დღეს, მამაჩემისაგან ტელეგრამმა მოვიდა.

„თქვენსა არის ჟორჟი?“

„თქვენ როგორ გგონიათ?“ უპასუხა მამიდამ.

ახლა კი დარწმუნდებიან, რომ მე აქ არა ვარ.

დამავიწყდა მეთქვა, რომ მე თან წამოვიღე ჩემი დღიური ცხვირსახოცში გახვეული, სუფთა პერანგი და ერთი წყვილი წინდა. ღამით, სანამ წერას შევუდგებოდი, დავუწყე დევნა თაგვს და ალთაფა გავტეხე ძველებური, ჩინური ძვირფასი ფაიფურისა. მამიდა ისე გაჯავრდა, რომ შემეშინდა,—სახლიდან არ გამაგდოს მეთქი.

— ორი დღეა, რაც აქა ვარ. ღმერთო ჩემო, რა უბედურებაა! ისე მამუშავებს მამიდაჩემი, როგორც ყმას. ვციცქნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარპატარა ნაწილებად ფორთოქლის კანს დაგლეჯავ-ცერცვს. მეც რას წარმოვიდგენდი! ჩვენსა ამას მზარეული აკეთებს. ბავშებთან თამაშობის ნებასაც არ მაძლევს. ორ ჯერ-სამჯერ სადგურზე გავიპარე: სულ ჩემს საყვარელ ნაცნობ „უფროსს“ ვეძებ: მინდა ვსთხოვო, რომ უკანვე წამიყვანოს, ჩვენებთან. დარწმუნებული ვარ, უარს არ მეტყვის ძნელი რამ ყოფილა მშობლების მოშორება!

გავიდა კიდევ ოთხი დღე და ღამე! დრო სულთა მხუთავად გძელდება. სასოწარკვეთილებაში ვვარდები; ვზივარ უფულოდ, უმეგობროდ; რკინის გზის სადგურის უფროსი ვერას გზით ვერ ვნახე. დღეს თორმეტი ჯამი მოცვი უნდა გავარჩიო. ჩემი სიამაყე შელახულია, ამისთანა სამარცხვინო საქმით. ოჰ, ნეტავი ცალი თვალით მაინც დამანახვა ჩვენი სახლი—ვფიცავ, სამაგალითო ბავში გავხდები! მაგრამ რას მიშველის ეს აღთქმა? ეჰ, შევწყვეტ დღიურის წერას. მგონია, მას, როცა ოთახიდან გავდივარ, მამიდაჩემი კითხულობს ჩემს გულში ნადებს.

—

. . . რა ბედნიერი ვარ! წადილი ამისრულდა, შინა ვარ. როცა მომაგონდება მშობლურ ჭერ ქვეშ ჩემი დაბრუნება, თვალები ცრემლებით მევსება. მამაჩემმა ალტაცებით მომიყვანა თვითონ ეტლით. ცრემლ მორეულმა დედამ გულში ჩამიკრა, დები კოცნით მახრჩობდენ, ჩვენი მზარეული სიხარულით ხტოდა და კალთით ცრემლებს იწმენდდა. მთელი ქალაქი გაცოცხლდა, შეიძრა, როცა ჩემი დაბრუნება გაიგეს. სადგურზე მრავალი ხალხი დამხვდა! რა დღე იყო! მამა ძლიერ გაუჯავრდა მამიდას, როცა ჩემს წამოსაყვანად მოვიდა. სუყველას ეგონა, რომ მე ან მკვდარი ვიყავ, ან ბოშებმა მომიტაცეს. იცით, როგორ ვიშოვე დეპეშის გასაგზავნი ფული: მამიდამ ერთი გობი მოცვი მომცა გასახმობად, მე კი გავყიდე და მამას ტელეგრამმით ვაცნობე:

„მამიდასთან ვარ. თუ გიყვარდეთ, მოდით წამიყვანეთ თქვენი ჟორჟიკი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა საყვარლებია ჩემი დები, არასოდეს არასოდეს ბლარ გავაჯავრებ. გადაწყვეტილია, სამშობლოს მამას, *) უნდა მივბაძო, რომ ჭკვიანი და კეთილი ბავში გავხდე.

ვიშ, რა ჩინებულად გავატარე ეს დღე! ალარავინ ლანძღავდა, ალარავინ სცემდა და ჯერ კიდევ დალამებამდის დასაძინებლად ალარავინ გზავნიდა ჟორჟიკს. მამა შემდეგი კვირისათვის ველოსიპედს დამპირდა. თუმც პატარა ვარ, მაგრამ ისე მექცევიან როგორც დიდს.

ი. ნიკოლაიშვილი.

(შემდეგი იქნება)

*) ჟორჟიკი ასე ეძახოდა პრეზიდენტ გარფილდს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ზაფხული

ბათენდა და გაანათა,
აბა, ბიჭო, ნამგალს ხელი!
ადრიანად მივესიოთ,
ყანა გველის მოსამკელი!

—

ტოროლამაც ფრთა გაშალა,
დასრიალებს მაღლა ცაში,
ის ბანს ეტყვის ჩვენს სიმღერას
ამ დალოცვილ ყანის მკაში!

—

თოხი, ბარი და ფიწალიც
დატრიალდა მთა და ბარში.
ზაფხულია, დავეშუროთ,
შევიტანოთ სარჩო სახლში!

ი. ევდოშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲬᲛ. ᲕᲔᲠᲝᲜᲘᲙᲐᲡ ᲩᲐᲓᲠᲘ

სულმა ლაგერლეფისა

(გაგრძელება*)

ამდენიმე კვირის შემდეგ იმპერატორის ერთი მონათაგანი საბინის მთებში განმარტოებით მდგომარე ქოხისაკენ მიეშურებოდა სალამო იყო, და მევენახე და მისი ცოლი ჭისკარზე იდგნენ და შორს დასავლეთისაკენ ჩამავალ მზეს უყურებდნენ. მონამ გზას გადმოუხვია, მიუახლოვდა ქოხს და სალამი უძღვნა. შემდეგ სარტყელში გამაგრებული პარკი ამოიღო და მევენახეს ჩაუდო ხელში.

— ამას გიგზავნის ფაუსტინა, რომელსაც თქვენ სიკეთე უყავით. შემოგითვალა ამ ფულით ვენახი შეიძინე და სახლი აიშენე, ასე მაღლა მთაში კი არა, როგორც ეს არწივის ბუდეა.

— მაშ ფაუსტინა ცოცხალი ბრძანდება?—ჰკითხა მევენახემ.—ხრამი აღარ დამრჩა ამ მთაში, რაკი აღარ დაბრუნდა, ვიფიქრე, უთუოდ სადმე ხრამში დაღუპა ან მთაში გზა დაებნა-მეთქი.

— გახსოვს, არ მეუბნებოდა გული, რომ მომკვდარიყოს! არ გეუბნებოდი, იმპერატორთან დაბრუნდებოდა-მეთქი?— უთხრა ცოლმა.

— მართალია,—დაეთანხმა ქმარი,—მუდამ მაგას მეუბნებოდი, და მეც მიხარის, რომ შენი სიტყვა გამართლდა, არა იმიტომ, რომ ფაუსტინა კვლავ მდიდარი შეიქნა, და შეუძ-

*) იხილე ნაკადული № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია გამოგვიყვანოს აუტანელ სილარიბიდან, არამედ თვით საბრალო იმპერატორისათვის.

მონას მაშინვე უნდოდა წასვლა, რომ ნათლით გასცილებოდა ამ უდაბურს, მაგრამ ცოლ-ქმარმა არ გაუშვეს.

— ჩვენთან უნდა დარჩე ამაღამ. ვერ გაგიშვებთ, სანამ არ გვიამბობ ყველაფერს, რაც ფაუსტინამ განიცადა. რად დაბრუნდა იმპერატორთან? როგორ შეხვდენ ერთმანერთს? ბედნიერია ეხლა, რომ თავის გაზრდილთან არის?

მონა დაჰყვა და ვახშამზედ რომ ისხდნენ უამბო იმპერატორის ავადმყოფობა და ფაუსტინას დაბრუნება. გაათავა და გაკვირვებული დარჩა: ცოლ-ქმარი გაუნძრევლად ისხდნენ თავზარდაცემულნი. თვალები ძირს დაეხარათ, თითქო სახეზე გამოხატულ მოელვარების დაფარვა ჰსურთო.

ბოლოს, ქმარმა წამოიწია და ცოლს მიუბრუნდა:

— რას იტყვი, ღვთის განგება არ არის? ესა?

— სწორედ! — უპასუხა ცოლმა. — ღმერთმა უთუოდ მაგიტომ მოგვავლინა ზღვით ამ ქოხში. უთუოდ მისი ბრძანებით დააკაკუნა ფაუსტინამ ჩვენი ქოხის კარი.

მევენახე კი ისევ მონას მიუბრუნდა.

— ძმობილო, გადაეცი ფაუსტინას ჩემი მადლობა და სიტყვა-სიტყვით უთხარ ჩემი ნათქვამი: „აი, რას გატყობინებს შენი მეგობარი მევენახე საბანის მთიდან. შენ გინახავს ჩემი ცოლი. ხომ ლამაზი და ჯან-ღონით სავსეა? მაგრამ წინეთ იგი იმავე სენით იყო შეპყრობილი, რომელიც ამ ჟამად ტიბერსა სჭირს.“

მონა გაკვირვებული იყო; მევენახე კი უფრო გადაჭრით განაგრძობდა:

— თუ ფაუსტინამ არ დაიჯერა ჩემი სიტყვა უთხარ, რომ მე და ჩემი ცოლი აზიიდან, პალესტინიდან ვართ მოსულები, იმ ქვეყნიდან, სადაც ეს სენი ძლიერ ხშირია. იქ კანონადაა დადებული, რომ ამ სენით შეპყრობილნი ქალაქებიდან და სოფლებიდან გაძევებულ უნდა იქმნან და იცხოვრონ უდაბურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილებში, ან სასაფლავოზე და მთის კალთებზე. უთხარ ფაუსტინას, რომ ჩემი ცოლის მშობლები ავად იყვნენ, და იგი მთის მღვიმეში დაიბადა. სანამ ბავშვი იყო, ჯან-საღი იყო, მაგრამ როდესაც წამოიზარდა და გასათხოვარი ქალი გახდა, მაშინ შეიპყრო ამ სენმათქო.

მევენახის ამ სიტყვებზე მონას გაეცინა და თავის ქნევით უთხრა:

— მერე შენ გინდა, რომ ფაუსტინამ ეგ დამიჯეროს?! შენი ცოლი გაფურჩქვნილი და ჯან-ღონით სავსე უნახავს? განა არ იცის, რომ ამ სენის წინააღმდეგ არც ერთი საშუალება არ მოქმედებს. მაგრამ მევენახე თავისას არ იშლიდა.

— უკეთესი იქნება, რომ დაეჯერწმუნოს ჩემს სიტყვას. გარდა ამისა, არც უმოწმოდა ვარ. გაგზავნოს შიკრიკი ნაზარეთში, გალილეაში! იქ, ვინც გინდათ, დაამტკიცებს ჩემს ნაამბობს.

— იქნება შენი მეუღლე რომელიმე ღმერთის სასწაულითაა განკურნებული?—იკითხა მონამ.

— დიახ!—უპასუხა მევენახემ,—სწორედ ისე იყო, როგორც შენა სთქვი. ერთხელ უდაბნოში მყოფ კეთროვანთა შორის ხმა გავრცელდა: „ამბობენ, ქალაქ ნაზარეთში, გალილეაში, ძლიერი წინასწარმეტყველი მოვლენილა. მასზე სული წმინდის ძლიერებაა გადმოსული, და ერთი ხელის შეხებით შეუძლია განდევნოს თქვენი სენიო“! მაგრამ სასოწარკვეთილნი ავადმყოფნი არ იჯერებდნენ ამ ამბავს. „ჩვენ ვერავინ გაგვკურნავსო“! მაგრამ სნეულთა შორის იყო ერთი ქალი, რომელსაც სწამდა, ის განშორდა სხვებს, რომ მოეძებნა გზა ნაზარეთისა, სადაც წინასწარმეტყველი ცხოვრობდა. და ერთხელ, როდესაც დიდ მინდორში მიდიოდა, დაინახა კაცი, მაღალი ტანისა, ფერმიხდილ სახით, და ძირს დაშვებულ, გიშერისავით შავი ხუჭუჭი თმით. შავი თვალები ვარსკვლავებისავით ელვარებდნენ და თავისაკენ იზიდავდნენ ქალს. ჯერ არც-კი მიახლოვებულიყო, რომ ქალმა დაუყვირა: „ახლო არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომეკარო, რადგანაც სენი მჭირს! მითხარი მხოლოდ, სად შემიძლია ვნახო ნაზარეველი წინასწარმეტყველი? ის კაცი-კი პირდაპირ მისკენ მიეშურებოდა და, როცა ძლიერ დაუახლოვდა, ჰკითხა: „რად ეძებ ნაზარეველ წინასწარმეტყველს?“— „ვეძებ იმიტომ, რომ შუბლზე ხელი დამადოს და გამკურნოს“. მაშინ კაცი მივიდა მასთან და შუბლზე ხელი შეახო. მაგრამ ქალმა უთხრა: „რა სარგებლობას მომიტანს შუბლზე შენი ხელის შეხება?! შენ ხომ წინასწარმეტყველი არა ხარ“? კაცმა ღიმილით უპასუხა“: წადი აგერ იმ მთის კალთაზე გაშენებულ ქალაქში და ეჩვენე მღვდლებს“!

კეთროვანმა ქალმა იფიქრა, დამცინისო; ამისაგან, როგორც ჩანს, ვერაფერს გავიგებო, და გზას გაუდგა. დაინახა სანადიროდ გამოსული მხედარი მინდორში. როცა სალაპარაკოდ დაუახლოვდა, ქალმა დაუძახა: „ახლო არ მოხვიდე! მე-სნეული ვარ. მითხარი მხოლოდ, სად არის ნაზარეველი წინასწარმეტყველი“?...

— მერე, რად გინდა ის წინასწარმეტყველი?—ჰკითხა მხედარმა და თან დაუახლოვდა.

— შემახოს თვისი ხელი და გამათავისუფლოს სენისაგან!

მხედარმა უფრო წინ მიიწია.

— რა სენისაგან უნდა გაგათავისუფლოს? შენ საექიმო არა გჭირს-რა?!

— ნუ თუ ვერა ხედავ, რომ მე კეთროვანი ვარ? კეთროვანი მშობლებისაგან დავიბადე კლდის მღვიმეში. მაგრამ მხედარი თანდათან უფრო უახლოვდებოდა, რადგანაც ქალი მგზნებარე სახისა და ახლად გაფურჩქვნილ ყვავილისავით ლამაზი იყო.

— შენ უულამაზესი ასული ხარ მთელს ჰურიასტანში!— წამოიძახა მან.

— კმარა! ნუ დამცინი!—მეც ვიცი, რომ სახე სენმა დამიმახინჯა, და ხმა ტყის ნადირის ღმუილსა მიგავს!

მაგრამ მხედარმა ღრმად ჩაიხედა მის თვალებში და უთხრა: „შენი ხმა-კენჭებზე მსრბოლ, გაზაფხულის წყაროსავით წკრიალაა, სახე შენი უდაოა, ვითა ნაზი აბრეშუმი“!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ჟამად მხედარი ისე ახლო იყო, რომ ქალს შეეძლო დაენახა თავისი სახე მოელვარე არშიაში, რომელიც მის უნაგირს ამშვენებდა.

— აქ ჩაიხედე და დაინახე შენი სახე,—უთხრა მხედარმა.

ასეც მოიქცა ქალი, და დაინახა სახე, ნაზი და კეკლუცი, ვითა ახლად გაშლილი, პაწაწა ფოთა პეპელისა.

— ამას რას ვხედავ? ეს ჩემი სახე არ არის!

— სწორედ ეგ არის შენი სახე.

— მაგრამ ჩემი ხმა? განა ხრინწიანი არ არის? განა ალმართზე ძლივს-ძლივობით მიმავალ ურემივით არა ვჭრიალებ?

— არა, იგი წკრიალებს, როგორც საკრავის უნაზესი სიმი,—უპასუხა მხედარმა. ქალი მოტრიალდა.

— იცნობ იმ კაცს, აგერ ორ მუხას რომ ეფარება?— ჰკითხა მხედარს.

— ეგ არის ის, ვისაც შენ წინედ კითხულობდი,—ნაზარეველი წინასწარმეტყველი,—უპასუხა მხედარმა. თავზარდაცემულმა სახეზე ხელი მიიფარა, თვალთ ცრემლი მოერია. „ჰოი, წმიდაო! ჰოი, ღვთის ძლიერების მატარებელო!—წამოიძახა ქალმა:— შენ გამკურნე სენისაგან“!..

მხედარმა ცხენზე შეისვა ქალი და მთის კალთაზე გაშენებულ ქალაქში მიიყვანა და მასთან ერთად ერის უფროსებთან და მღვდლებთან წავიდა ამ ამბის მოსათხრობად. დაწვრილებით ჰკითხავდნენ ამ ამბავს, მაგრამ, როცა გაიგეს რომ ქალი უდაბნოში დაიბადა ავადმყოფ მშობლებისაგან, არ დაიჯერეს.

— დაბრუნდი ისევ იქ, საიდანაც მოსულხარო, უთხრეს:— თუ სნეული იყავი, მთელი შენი სიცოცხლე სნეულადვე დარჩი! ქალაქში შემოსვლის ნება არა გაქვს: ჩვენც არ გადაგვედოს შენი სენიო!...

ქალმა უპასუხა: „ვიცი, რომ ჯან-მრთელი ვარ, რადგანაც ნაზარეველმა წინასწარმეტყველმა თავისი ხელი შეახო ჩემს შუბლს.

ქალის ამ სიტყვებზე ერთხმად შეჰყვირეს: „ვინ არის ის, რომ უწმინდურებს წმინდად აქცევს? ეს ბოროტი სულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხრიკებია. დაბრუნდი შენს მშობლებთან, თორემ ყველაფერს ვიღუპებით“!

არ იცნეს იგი სენისაგან განთავისუფლებულად და ქალაქში ყოფნის ნებაც არ მისცეს. განაცხადეს, რომ ყველა ის, ვინც მას სტუმრად მიიღებდა,—ყველა კეთროვანი იქმნებოდა.

როდესაც ქურუმებმა ეს განაჩენი გამოაცხადეს, ქალი მიუბრუნდა კაცს, რომელიც მინდორში შეხვდა, და უთხრა: „სად წავიდე ახლა? განა ისევ უდაბნოში უნდა დავბრუნდე კეთროვანებთან“?!

მაგრამ კაცმა ისევ ცხენზე შეისვა და უპასუხა: „რა თქმა უნდა, არა! შენ მღვიმეებში არ დაბრუნდები სნეულებთან! უკეთესია სხვა ქვეყანაში წავიდეთ, ზღვის იქეთ, სადაც არ არის კანონი უწმინდურთა განდევნისა. და ორივენი“...

მაგრამ მონა წამოდგა და ამბავი შეაწყვეტინა.

— შემდეგი საჭირო არ არის, —უთხრა მან:—წავიდეთ, პატარა მანძილი გამაცილი, რადგანაც შენ კარგად გეცოდინება აქაური გზა ქალაქისაკენ. საჭიროა დღესვე უკან დავბრუნდე უთენებლივ. იმპერატორმა და ფაუსტინამ დაუყონებლივ უნდა გაიგონ ყველაფერი, რაც შენ მიამბე.

როცა მევენახემ გააცილა მონა, აჩვენა ქალაქის გზა და შინ დაბრუნდა, ცოლს ჯერ არ ეძინა.

--- ვერ დამიძინია!—უთხრა ქალმა:—სულ იმაზე ვფიქრობ, თუ როგორ შეხვდებიან ერთმანერთს... ერთი რომელსაც უყვარს ყველა ადამიანი, და მეორე, რომელსაც ეზიზღება და სძულს ადამიანი.

პავ. დ—ძე

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივანე გიორგის-ძე მაჩაბელი

ივანე გიორგის-ძე მაჩაბელი დაიბადა 27 იანვარს 1854 წელს ქართლში, სოფელს თამარაშენს. მამა მისი ჯერ დიამბეგად იყო, მერე მაზრის უფროსის თანაშემწედ. ივანეს დაბადების დროს კი ჯარში იყო, ოსმალებთან ომის დროს რიონის რაზმში ივანე მალხაზის-ძის ანდრონიკაშვილის ხელქვევით და უფროსობდა ოსების რაზმს. დედა მისი, რომელიც ამ ჟამად ცოცხალია და ცხოვრობს თამარაშენში, ერევანცოვის ქალია.

ვანო, პატარაობითვე მკვირცხლი, მალხაზი და მეტისმეტი ხალისიანი ბავშვი იყო. ცხრა წლამდის სოფელში იზრდებოდა. ხუთის წლისას დააწყებინეს ქართული ანბანი. მასწავლებლად მას, უფროს ძმას ვასილს და დას დარიას ჰყავდათ მოხუცი პაპიდა, დიასამიძის ქვრივი ელენე, რომელიც საუცხოოდ იცნობდა როგორც საერო, ისე სასულიერო ლიტერატურას. აი ამ მოხუცის წყალობით პატარა ვანომ შეისწავლა როგორც ხუცური, ისე საერო ანბანი. ექვსის წლისა იყო, რომ ჩინებულად კითხულობდა ქართულს. რვა წლისას კი წაკითხული ჰქონდა რაც სახლში ქართული წიგნები მოიპოვებოდა: „ვეფხვის ტყაოსანი“, „ყარამანიანი“, „ბარამიანი“, „დავრიშიანი“, „ვისრამიანი“ და სხვ. შვიდი წლიდან ხშირად ეხმარებოდა ეკლესიაში დიაკვანს და ხანდახან სამოციქულოსაც კითხულობდა წირვაზედ როგორც სოფელში, ისე მასუკან ქვაშვეთის და ორბელიანების ეკლესიებში მამა ძალიან ხელმოკლე კაცი იყო. როდესაც ვანო 9 წლისა შესრულდა, მისი უფროსი ძმა ვასილ გიმნაზიაში სწავლობდა. თითონ ვანომ მოსწერა მამას. წერილი,—უსწავლელად ნუ დამტოვებო“—მამამ გაგზავნა უფროსი ვაჟი და ვანო ქალაქს ჩამოიყვანეს.

მამას ეჭირა პატარა სადგომი და აი აქ მოთავსდა იგი თავის ორი შვილით. პაწია ვანომ ძმის დახმარებით დაიწყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსული ენის სწავლა და ისეთი ნიჭი გამოიჩინა, რომ ერთ წელიწადს მეორე კლასისათვის მოემზადა და ისე მშვენივრად დაიჭირა ეგზამენი, რომ პანსიონში სახელმწიფო ხარჯით მიიღეს.



თექვსმეტის წლისა იყო ვანო, რომ საჩუქრით გიმნაზია დაასრულა. რადგან მაშინ ჩვიდმეტ წლამდე უნივერსიტეტში არ იღებდნენ, ამიტომ სახელმწიფო ხარჯზედ ველარ გაიგზავნა. წავიდა სოფელში და იქ ერთი წელიწადს დაჰყო. ამ ერთ წელიწადს ვანომ მშვენივრად შეისწავლა ფრანგული ენა. მისმა ძმამ ვასილმაც ამ დროსთვის დაამთავრა სწავლა უნივერსიტეტში, მაგრამ უსახსრობის გამო ველარ დაბრუნდა და იქ დარჩა სამსახურში. იგი ხშირად სწერდა ძმას ვანოს, როგორმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეშოვნა გზის ფული და მისულიყო პეტერბურგს, მაგრამ იმ დროს მისი მამა ისე იყო გაჭირებული და ვალებში ჩავარდნილი, რომ ვეღარ შესძლო უმცროსი შვილის გაგზავნა. ამ დროს ანომ იშოვნა გაკვეთილი, რამდენსამე თვეში მოაგროვა ფული და 1871 წელს გაემგზავრა პეტერბურგს. აქაც თავისებურად ბეჯითად შეუდგა სწავლას. ოთხის წლის შემდეგ მშვენივრად დაამთავრა სწავლა და ამასთან ფრანგულის გარდა, გერმანული და ინგლისური ენებიც შეისწავლა.

ვანოს მოსვენებას არ აძლევდა აზრი საზღვარ-გარედ წასვლისა. ბოლოს როგორც იყო, ძმამ უშოვნა ფული და გაემგზავრა. მან აირჩია გერმანიაში ტოგენგეიმის აკადემია, შტუტგარდის მახლობლად, სადაც შეუდგა მეურნეობის შესწავლას. მთელი ორი წელიწადი დაჰყო ამ აკადემიაში, შემდეგ გაემგზავრა საფრანგეთში, გიბოდიერში რამდენისამე თვით მევენახეობის შესასწავლად. დაესწრო მასთან ერთად პარიზის მსოფლიო გამოფენას 1878 წელს. ამის შემდეგ პეტერბურგს დაბრუნდა.

ვანოს ცოცხალმა ბუნებამ დასვენება არ იცოდა. მან განიზრახა სტუდენტების დახმარება და ამ აზრით წარმოდგენის გამართვა. ამისათვის ძმებმა აირჩიეს „მზის დაბნელება“, შეადგინეს სცენის მოყვარეთა წრე მომღერლებით, დუდუკით და საზანდრებით და ბოლოს გაგარინის დარბაზში 1879 წელს გამართეს წარმოდგენა. ეს იყო პირველი ქართული წარმოდგენა პეტერბურგში.

აქ პირველად გაიცნო ვანო ილია ჭავჭავაძემ და ძრიელ სასიამოვნოდ დარჩა ამგვარად მომზადებულ და უცხო ენების მცოდნე ყმაწვილი კაცის ნახვა. ამავე დროს განიზრახეს დიდებულ პოეტის შექსპირის პიესის „მეფე ლირის“ გადმოთარგმნა. ორივემ საუცხოოდ იცოდა ქართული ენა. ვანომ, ამას გარდა, ინგლისურიც იცოდა. შრომის-მოყვარეობა არც ერთს არ აკლდა და, თუ არა ვცდები, ხსენებული პიესა ორს თუ სამს თვეში გადმოთარგმნეს. დაბრუნდა ტფილისს ვანო 1879 წელს, ზაფხულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენმა საზოგადოებამ დიდის თანაგრძნობით და ყურადღებით მიიღო ვანო. არ გასულა რამდენიმე თვე, რომ იგი სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორად დანიშნეს. ინსპექტორად დიდხანს არ დაჰყო. ილია ჭავჭავაძემ ურჩია ბანკში შესულიყო კასირად და ამასთან ეწარმოებინა ჟურნალი „ივერია“, რომელიც ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოდიოდა. მთელი ორი წელიწადი აწარმოვა ვანომ ეს ჟურნალი; შემდეგ იგი დამფასებლად აირჩიეს ბანკში. ამ თანამდებობის დროს დიდის ხალისით მოგზაურობდა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში, იკვლევდა ყველაფერს, როგორც ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას, ისე მისს ხასიათს, ბუნების სიმდიდრეს და სხვას. ვანო მონაწილეობას იღებდა თითქმის ყველა ჩვენ საზოგადო დაწესებულებაში და ნაყოფიერადაც მუშაობდა. დამფასებლად ვანო ცოტა ხანს დარჩა, მალე იგი ბანკის გამგეობის წევრად აირჩიეს.

ამ ხანებში ვანომ ზოგიერთ პირების დახმარებით შეისყიდა განსვენებულ სერგეი მესხის გაზეთი „დროება“. აქედან იწყება მისი რთული მოღვაწეობა როგორც ბანკში, ისე სალიტერატურო ასპარეზზე და სხვა და სხვა დაწესებულებაში. ამ ხანში მან გადმოთარგმნა ინგლისურიდან შექსპირის უკვდავი თხზულებანი: „ჰამლეტი“, „ოტელო“, „იულიოს კეისარი“, „მაკბეტი“, „რიჩარდ მესამე“ და სხვა. გადმოთარგმნა აგრეთვე პატარა პიესები იტალიურიდან და ესპანიურიდანაც. საზოგადოდ, ვანო მაჩაბელს დიდი ნიჭი ჰქონდა ენების სწავლაში, ქართული ენა ხომ ზედ-მიწევნით იცოდა.

ის დიდი მოყვარული იყო თავის ერის და უანგაროდაც შრომობდა ამ ერის წარსამატებლად. ი შვიათად მოიპოვება ისეთი აღფრთოვანებული, საზოგადო საქმით გატაცებული და დაუღალავი მშრომელი, როგორიც მაჩაბელი იყო. როგორც ადამიანი, იგი პატიოსანი, გულწრფელი და მეტად უანგარო კაცი იყო.

ივანე მაჩაბელს დარჩა ქვრივი და ორი შვილი—ქალვაჟი. მისი ვაჟი ჩვენი ჟურნალის „ნაკადულის“ ერთი ნიჭიერი და ერთგული თანამშრომელთაგანია.

მ. დ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოლომონ გოშაძე

(ნეკროლოგი)

სოლომონ ესტატეს ძე გოშაძე დაიბადა თელავში 3 აპრილს 1880 წელს; აქვე გაატარა თავისი სიყმაწვილე და ჯერ ისევ პატარაობაშივე ეტყობოდა, რომ დიდი ნიჭით იყო დაჯილდოვებული. ცხოვრებაში გამოსვლისათანავე იწყო ჩვენის მწერლების შესწავლა: იმის უმთავრეს ყურადღებას ლექსები იპყრობდა. ამავე დროს დაიწყო სცენაზე გამოსვლა, და იმის მეთაურობით, სახალხო წარმოდგენები იმართებოდა. ეს ორი წელიწადია ბიბლიოთეკის გამგედ იყო ამორჩეული. ყოველ საზოგადო საქმეს სიყვარულით და ენერგიით ეპყრობოდა და იმ დღიდან, რაც ნაკადული გამოვიდა, უკანასკნელ დღემდე ერთგული თანამშრომელი იყო ჩვენი ჟურნალისა, რომელსაც ხშირად ამშვენებდა თავის ლექსებით.

ეს სიცოცხლით სამსე ყმაწვილი კაცი ამ გზაფხულს გამოეთხოვა ქვეყანას, მაგრამ იმედია რომ „ნაკადულის“ მკითხველების ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება ახალგაზრდა პოეტის ხსოვნა.

მ. დ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



წერილები ფიზიოლოგიიდან

(წერილი მეხუთე)

ოგორც უკვე დავინახეთ, საზრდო იხარშება კუჭში და ნაწლავებში, ითქვიფება და სითხედ გადიქცევა. აქედან სადღა მიდის ეს საზრდო? ყოველ დღე რომ ავწონოთ საზრდო, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ და აგრეთვე ის უვარგისი ნაწილი ამ საზდოსი, რაც განავალის სახით ჩვენს ტანს შორდება, დავინახავთ, რომ განსხვავება დიდია; დავრწმუნდებით, რომ საზრდოს დიდი ნაწილი ყოველ დღე სადღაც ქრება ჩვენს აგებულებაში. სად მიდის ეს საზრდო? მივმართოთ სხვა-და-სხვა ცდას. ძაღლს ამოუკერეს კუჭის გასავალი და ამგვარად კუჭი ნაწლავებს მოაშორეს. შემდეგ კუჭში ჩაასხეს წყალი. რამოდენიმე ხნის შემდეგ კუჭი გასინჯეს და შიგ წყალი აღარ აღმოჩნდა. სად წავიდა ეს წყალი? ნაწლავებში ვერ გადვიდოდა, რადგანაც კუჭიდან გასავალი გზა ამოკერილი იყო. აქედან თავის თავად ცხადია, რომ კუჭის კედლებმა ანუ ლორწოიანმა კანმა წყალი შეისვა. სხვა-და-სხვა ცდა ამტკიცებს, რომ წელებსაც სწორედ ამგვარი თვისება აქვთ: წელების ლორწოიანი კანი ისვამს ყოველგვარ სითხეს, რომელიც წელებში ჩადის. წელების შინაგანი ლორწიანი კანი რომ კარგად 'გასინჯოთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარწმუნდებით, რომ ის ხაოიანია ანუ ბუსუსებიანი. მთელი კანი ურიცხვ ბუსუსებით არის დაფარული.



თვითეული ბუსუსი რომ მიკროსკოპში გასინჯოთ, მიიღებთ იმ სურათს, რომელიც აქ არის დახატული. გადიდებული ბუსუსი, როგორც ხედავთ, წარმოადგენს შაქრის პატარა თავს!; გარედან ის დაფარულია პატარ პატარა უჯრედებით. უჯრედების შიგნით არის ურიცხვი სისხლისა და წბოლის მილები. სხვა და-სხვა მაგალითებით დღეს დამტკიცებულია, რომ სითხეთ ქცეულ საზრდოს ისვამენ ბუსუსების უჯრედები და ამ უჯრედებიდან საზრდო გადადის ბუსუსებში მოთავსებულ მილებში. როგორც დაამტკიცა დაკვირვებამ, ქონი გადადის წბოლის მილებში, დანარჩენი ნაწილი კი—სისხლის მილებში. წბოლის მილებს ნაწლევებიდან მიღებული ქონი მოაქვთ პირდაპირ გულში, აქ ქონი უერთდება სისხლს, სისხლს-კი მიაქვს ის ჩვენი სხეულის სხვადასხვა ნაწილებთან. საზრდოს დანარჩენი ნაწილი კი პირდაპირ გულში არ მოდის. ის სისხლის მილები, რომლებსაც ნაწლევებიდან ბუსუსებში გადმოსული საზრდო მოაქვთ, ნელანელა თავს იყრიან და შეადგენენ ერთ მილს. ეს მილი შედის ღვიძლში, აქ ისევ იყოფა მრავალ ურიცხვ მილებად; შემდეგ ისევ შეერთდებიან ეს დაყოფილი მილები და უერთდებიან ქვედა ცალიერ ვენას. ამ გვარად ის საზრდო, რომელიც ამ მილებით მოდის, ისე ვერ ჩავა გულში, თუ უმალ ღვიძლი არ გაიარა. რისთვის არის ეს საჭირო? აი რისთვის. ერთმა მეცნიერმა ააჭრა ძაღლს ის მილი, რომელსაც საზრდო ღვიძლში მოჰქონდა და შეუერთა პირდაპირ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქვედა ცალიერ ვენას. ამ გვარი ოპერაციის წყალობით მიღებული საზრდო ასცდა ღვიძლს და პირდაპირ გულში ჩადიოდა; გულიდან ურიგდებოდა ტანის სხვა და სხვა ნაწილებს. ამგვარი ოპერაციის შემდეგ ძაღლმა დიდხანს ველარ იცოცხლა და მოკვდა. მომაკვდავ ძაღლს მოწამლულობის ნიშნები ემჩნეოდა. ამ გვარი ოპერაცია შემდეგ ბევრ ძაღლებს გაუკეთეს, მაგრამ ყველა დაიხოცა. მათი დახოცის მიზეზი ოპერაცია კი არ იყო, არამედ საზრდოთი, მოწამლვა. ამ ოპერაციამ გამოარკვია, თუ რა მნიშვნელობა ჰქონია იმ გარემოებას, რომ საზრდომ ქონს გარდა უმალ ღვიძლში უნდა გაიაროს, ვიდრე გულში ჩავიდოდეს. საზრდოში არის ისეთი ნაწილები, რომლებიც ჩვენი სხეულისათვის საწამლავს წარმოადგენენ. ეს საწამლავი რომ ასცდეს ჩვენს სხეულს, ბუნებამ ისე დააწესა, რომ საზრდომ უსათუოდ ღვიძლში უნდა გაიაროს, სანამ ჩვენი სხეულის ნაწილებს დაურიგდებოდეს. სისხლში გადასული საზრდო იფანტება ღვიძლში, ღვიძლი სწმენდავს მას, აცლის მავნებელ ნაწილებს და დაწმენდილ საზრდოს ჰგზავნის გულში. ამ გვარად ღვიძლს ორ-გვარი მნიშვნელობა ჰქონია: ის ამზადებს ერთგვარ სითხეს—ნაღველს, რომელიც ჰხარშავს ქონს, და აგრეთვე სწმენდავს მონელებულ და სისხლში გადასულ საზრდოს.

დაწმენდილი საზრდო ღვიძლიდან გადადის ქვედა ცალიერ ვენაში, აქედან მიდის გულში. გულშივე მიაქვთ ქონი წბოლის მილებს. ამ გვარად მთელი საზრდო თავს იყრის გულში და აქედან სისხლი ურიგებს მას ჩვენი სხეულის ყოველ-ნაწილს.

ი. გომართელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოტანიკური საუბარი

(გაგრძელება)

ინა ნომერში ნათქვამს ადვილად დაინახავთ შემდეგიდგან: პირველი მუხა (იხ. სურათი № 14). გაზრდილია თავისუფლად; სიმაღლით შედარებით პატარაა, — 26 არშინი სამაგიეროდ სქელია $2^1/_2$ არშინი და სულ ტოტებათ არის ნაქცევი. მეორე მუხა (იხ. სურათი № 15) ლერწამივით სწორეა, რადგანაც თავდაპირველად გაზრდილია დაბურულ ტყეში. ეს ტყე მოჭრილია, მხოლოდ აქა იქ არის დარჩენილი სადედოდ 45 არშინიანი მუხა სისქით მხოლოდ 12 ვერშოკიანი.

ხეებს ჰგოლავს სიცივის გარდა უწყლობა, გვალვა. დიდი ხე, რასაკვირველია, ბევრს წყალსაც მოინდომებს. თუ საკმარის სინესტეს ვერ შოულობს ნიადაგში, იჩაგრება, იგოლება; მართლაც და რაც უფრო დაბალი და პატარაა ხე, იმდენად ცოტა წყალსაც მოინდომებს, და ცოტას უფრო ადვილად იშოვნის ნიადაგში. საკვირველია ის გარემოება, რომ ამ დაჩაგრულ ხეს თავის დროზედ გამოაქვს ყვავილები და მერმე კარგი ნაყოფიც. ამისთანა უწყლობით დაგოლილ ხეებს ხშირად შეხვდებით უდაბნოებსა და მთეებში სალ კლდეებზედ.

ხეს სიკვდილამდე ყოველ წლივ სისქე ემატება. რასაკვირველია, რაც უფრო დიდი ხნისაა, იმდენად უფრო სქელიც უნდა იყოს. მაგრამ, უფრო სქელი ხე ყოველთვის დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხნისა როდია: ხის სისქე დამოკიდებულია იმაზედ, [illegible] დგას იგი, თუ გარშემო ხეები ახვევია. პირველ შემთხვევაში



სურათი 14.

ხე შედარებით მალე სქელდება, სამაგიეროდ სიმაღლე მცირე ემატება. მეორე შემთხვევაში, თუ ხეები ახვევია გარშემო, მცირე სისქე ემატება სამაგიეროდ ძალიან მაღალი იზრდება. ამიტომ დაბურულ და ხშირ ტყეებში ,დვილად შეიხვდებით წვრილს, სწორს, მაღალს და მოხდენილ ხეებს. დაბურულ ტყეში არც თუ არის საჭირო, რომ ხე ძალიან სქელი იყოს, რადგანაც აქ იმას ქარი ძალას არ ატანს; მას მეზობელი ხეები შველიან ქართან ბრძოლაში. ობლად მდგომ ხეს კი ქარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადვილად მოსტეხავს შტოში, თუ-კი საკმარისი სისქე არ იქნებ-ნება.

ხის სისქე—სიმაღლე დამოკიდებულია ჯიშზედაც; მუხა რაც უნდა დაბურულ ტყეში გაიზარდოს მაინც ისეთი სამაგალითო სწორი არ იქნება, როგორც სოჭი და ნაძვი. მეორე მხრივ არყის ხე, კიპაროსი და ალვის ხე მარტო მდგომიც კი შედარებით სწორე და წვრილ შტოს იცეთებს.

სურათი 15.

ჩვენს ქვეყანაში ადვილად შეხვდებით ძალიან სქელ ხეებს. თელავში დგას მშვენიერი ჭანდარი რომლის დიამეტრი ულრის ოთხ არშინს; გარშემო, ირგვლივ 12 არშინზედ მეტია.

ამისთანა სქელი ხეები ჩვენს ქვეყანაში ბევრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელ ჯახუნდარაში (ლაშხეთი, სვანში) დგას უზარმაზარი ცაცხვი, რომლის სისქე ირგვლივ 19 არშინს უდრის. ამ ცაცხვის სურათი და აღწერა მოყვანილია ტყეშელაშვილისაგან*). გორის მაზრაში სოფელ კეხვში ლიახვის პირას სოფლის ეკლესიის ეზოში დგას კაკლის ხე, რომლის ჩრდილოში 200 ცხენოსანი თამამად შეეფარება. ამ კაკლის დიამეტრი 4 არშინს უდრის თურმე.**) დედა მიწის ზურგზედ ყველაზედ სქელი ხე მოიპოვება იტალიაში. ეს არის წაბლის ხე, მის ფულუროში ასი ცხენოსანი დაეტევა—თურმე.

სურათი 17.

ამერიკაში ერთ უზარმაზარ ხეში გვირაბია გამოჭრილი. იხილე სურათი № 17 (გადმოღებულია „კონ"-იდგან).

*) „Землевѣденіе" (1905 г. кн. 1 и II.).

**) Сообщеніе Лихачева.—И съѣзду русскихъ естествои с пытателей и врачей въ С.-П. Ботаника стр. 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა მცენარისათვის, და რასაკვირველია, ხეებისათვისაც, ძალიან საჭირო არის, მზის სხივი, რადგან ფოთოლი ამ სხივების საშუალებით ამზადებს ნახშირ-მჟავიდგან ორგანიულ მასალას. მცენარეებს რომ ეს საკვირველი თვისება არა ჰქონდეთ, დედა მიწაზედ სიცოცხლე არ იქმნებოდა, რადგანაც მხოლოდ მცენარეს შეუძლიან მომზადება იმ ორგანიულ მასალისა, რომლითაც იკვებება დანარჩენი ცოცხალი არსება. ნამდვილი მზის შვილები მხოლოდ მცენარეები არიან. ჩვენ, ცხოველები კი, მცენარის მუქთა ხორები ვართ.

სოლ. ქურდიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰენრიხ პესტალოცი

მამა ობლებისა და ადმზრდელი კაცობრიობისა.

ადრე ხნის წინად ციურიხში (შვეიცარიაში) ცხოვრობდა ერთი დიდებული კაცი, სახელად ჰენრიხ პესტალოცი. მამა ჰენრიხს 6 წლისას მოუკვდა და ობოლი დედის ხელში დარჩა. იგი თავისი ხასიათით, მუყაითობით და ყოფა-ქცევით უზომო სიხარულსა ჰგვრიდა დედას და იმის გულის ვარდი იყო. ჰენრი სკოლაშიაც ძალიან უყვარდა ყველას, როგორც მეტის მეტი გულკეთილი, ტკბილი და მშვიდობიანი ბავშვი. მის ნორჩ გულში ისე ღრმად იყო გამჯდარი სიბრალულისა და სამართლიანობის გრძნობა, რომ არ შეეძლო უსამართლო საქციელის მოთმენა. ამხანაგს რომ ამხანაგისათვის ეწყენინებინა, ჰენრიხი ვერ მოისვენებდა, სანამ დამნაშავეს თავის საქციელს არ გაასწორებინებდა.

9 წლიდან ჰენრიხი ზაფხულობით ბიძასთან ცხოვრობდა სოფლად. აქ თავის ტოლებთან თამაშობის დროს ის აკვირდებოდა ღარიბ ხალხის ყოფა-ცხოვრებას და იძიებდა იმათ გაჭირვებულ მდგომარეობის მიზეზს. ამ დროიდან დაებადა მას გულში ხალხის სიყვარული, სიბრალული და დახმარების სურვილი. ხშირად მიჯდებოდა ხოლმე ის სადმე მარტოდ მარტო ღრმად ჩაფიქრებული და ოცნებობდა, თუ რად არის ცხოვრება დაყენებული ისე უკუღმართად, რომ ხალხის უმრავლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სობა დღესა და ღამეს ასწორებს, დაუღალავად შრომობს ... წელებზე ფეხს იდგამს და მაინც კიდევ აუტანელ მდგომარეობაშია ჩავარდნილი?

მისი პატარა გული ღელავდა, და თვალებში მხურვალე ვედრება ეხატებოდა ამ დროს. „ღმერთო, შენ მომეც ძალი და სიმხნე, რადა შევიძლო ხალხის დახმარება, როცა გავიზრდებიო“! წამოიძახებდა ხოლმე ამ ფიქრებში გართული. და მართლაც აუსრულდა საწადელი. სიჭაბუკიდან ღრმა მოხუცებულობამდი პესტალოცმა იმდენი სიკეთე დასთესა ხალხის საბედნიეროდ, რომ ვისაც იმისი მოღვაწეობა გაუგონია, ძვირად, აფასებდნენ და დიდი მადლობითა და პატივისცემით იხსენიებდნენ მის სახელს.

იქნება გეგონოთ, რომ პესტალოცი მდიდარი კაცი იყო და ამ მხრით უწევდა ხალხს დახმარებას? — სრულიადაც არა! იშვიათად თუ ვისმე აუტანია იმდენი გაჭირვება, უსიამოვნება, მწუხარება და შრომა, რამდენიც ამ დიდსულოვანსა და უანგარო კაცს მთელ თავის სიცოცხლეში!..

—

ჰენრიხი სიყმაწვილეში მუყაითად შეუდგა სწავლასა და გონების განვითარებას, რომ ცხოვრებისათვის მომზადებულს, შემდეგ ხალხისათვის გაეწია პატრონობა და დახმარება.

სწავლის გათავების შემდეგ იმან ხელი მიჰყო მეურნეობას, რომ ხალხს დაახლოვებოდა და მიეცა მაგალითი, თუ რა გზით შეიძლება იმისი დახსნა ათას გვარ გასაჭირისაგან და თავდაპირველად იმ უვიცობისაგან, რომელიც აფერხებს იმის წინსვლას. ამ აზრით იმან იყიდა სოფელში სამოსახლო ადგილი და დაარქვა იმას „ნეიგოფი“, ე. ი. ახალშენი. მაგრამ რადგან არც ცოდნა ჰქონდა იმდენი და არც საღსარი შესწევდა, რომ მეურნეობა რიგიან საფუძველზე დაეყენებინა და სამაგალითოდ მოეწყო, ამიტომ მალე ისეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ მეზობლების სასაცილოდ გახდა. მაგრამ პესტალოცი არ დაეცა სულით და აქ დამარცხებულმა სხვა გზა მოძებნა. იმან გახსნა თავის ნეიგოფში ყრმათა აღსაზრდელი ბინა, მოუყარა თავი 50-მდე ობოლ-ოხერ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათხოვარ, ქუჩა-ქუჩა მაწანწალა უსაქმო ბავშვს და ხელოვანს ჰყო მათ აღზრდას.

ჰენრიხი ბავშვებს უნერგავდა სწავლის, შრომის, პატიოსნებისა და სიყვარულის გრძნობებს; ცდილობდა იმათი ხასიათის გასწორებას, გულის გაწმენდას. ზაფხულობით ბავშვებს მინდვრად ამუშავებდა, ზამთრობით კი ხელსაქმეს აკეთებინებდა, თან ასწავლიდა და ისე ალერსიანად ეპყრობოდა, როგორც კეთილი მამა.

პესტალოცის მეუღლე ანნა ფრიად გულკეთილი, ალერსიანი, მშრომელი და ბავშვების მოსიყვარულე მანდილოსანი იყო. ის თავგამოდებით შველოდა ქმარს და დიდ დახმარებას უწევდა ამ მძიმე, რთულ და სამშობლოსათვის მეტად სასარგებლო საქმეში. დღით ცოლ-ქმარნი ყველაზე ადრე დგებოდნენ, ღამე გვიან წვებოდნენ, მუდამ ბავშვებთან იყვნენ, იმათთან სჭამდნენ, სვამდნენ და იმათთან ეძინათ.

ამ გვარ მზრუნველობისთვის ბავშვებსაც, მგონი, სრული თანაგრძნობა და მადლობა უნდა გამოეცხადებინათ კეთილ მამისათვის? მაგრამ საქმე სხვანაირად მიდიოდა: უსაქმოდ დაჩვეულ ბავშვებს მუშაობა ეზარებოდათ, უქმად ყოფნა და უმიზნოდ ხეტიალი უფრო მოსწონდათ, ვიდრე შევიწროებული ცხოვრება—პესტალოცის მამულში, სადაც ასწავლიდნენ ზრდილობას, თავდაჭერას და შრომას; უშლიდნენ ჩხუბს, უსიამოვნებას, უზრდელობას, უზნეობას და სხვა უწესოებას. ბავშვები გარბოდნენ.

ადგილობრივი მთავრობაც ხელს არ უწყობდა ამ კეთილ საქმეს და ამიტომ პესტალოცი იძულებულ იქმნა რამდენიმე ხნის შემდეგ თავი დაენებებინა ამ საქმისთვის.

—

18 წელიწადი ებრძოლა ამის შემდეგ პესტალოცი სიღარიბეს და იმის საშინელ შედეგს—გაჭირვებას, დამცირებას და ნაკლებულობას.

რა კი ხალხმა ამ მდგომარეობაში დაინახა, ზურგი შეაქცია, დაცინვა დაუწყო და მათხოვრის სახელით იხსენიებდა. მაგრამ იმან მაინც არ დაკარგა სასოება, რწმენა თავის თა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰენრიხ პესტალოცი.

ვისა და სასოწარკვეთილებას არ მიეცა. მისი ფიქრი და გონება მაინც კიდევ იმაზე იყო მიქცეული, თუ როგორ ამოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფხვრა სილატაკე, რომელშიაც ახლა თვითონვე ჩაიფლო და რომლიდგან იწევდა და ვერ ამოდიოდა! პესტალოცი ამ დროს ცხოვრობდა განდეგილივით, ქვეყნიერებას მოშორებული, მარტოდ მარტო, და დროს მაღალ და წმინდა ფიქრებში ატარებდა. ის სწერდა თავის ნაფიქრს, დაკვირვებებს, დიდებულ აზრებს და შეადგინა მთელი წიგნი, სახელად „საღამოს ჟამი განდეგილისა". ამ გაჭირვებულ დროს იმან მეორე წიგნიც დასწერა, რომელმა მთელ განათლებულ ევროპის ყურადღება მიიქცია და დიდი სახელი გაუთქვა. ამ წიგნს „ლინჰარდი და ჰერტრუდა" უწოდა და შიგ დაჰხატა ღარიბი და პატიოსანი ოჯახი, რომელიც დაუღალავმა შრომამ გამოიყვანა სიღარიბიდან, დაანახვა ხალხს პატიოსნებისა და სიკეთის გამარჯვება სიბოროტისა და უსამართლობის წინააღმდეგ.

დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ პესტალოცი ბედმა ისევ მოღვაწეობის ასპარეზზე გამოიწვია.

საფრანგეთის მეფე ნაპოლეონ I-მა იმ დროს ბევრი ქვეყანა გაანადგურა, ხალხი ააწიოკა სასტიკი ომებით, რომ თავისი სამფლობელო გაეფართოებინა. რამდენი ბედნიერება შეეძლო მოეტანა ქვეყნისათვის ამ ძლიერსა და ამპარტავან მეფეს რომ მოენდომებინა!..

შევადაროთ ახლა, რა დიდი განსხვავებაა მშვიდად მოღვაწე ღარიბ პესტალოცსა და ყოვლად შემძლებელ ნაპოლეონს შუა? პირველი, თვითონვე სიღარიბეში მყოფი, დღედა-ღამ დაჩაგრულ ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ფიქრობდა და მოქმედებდა; მეორე-კი სამეფო ტახტს თავისივე მოძმეთა ბედნიერების ნანგრევებზე სდგამდა. დამამხობელ საფრანგეთის მსხვერპლად, სხვათა შორის, გახდა შვეიცარიის ერთი დაბა ხტანცი, რომელიც საზარლად იქმნა აკლებულ-აოხრებული: დედებს გულიდან შვილებსა ჰგლეჯდნენ, სოფლებს ცეცხლის ალში ახვევდნენ, ხალხი უბინაოდ რჩებოდა, სიმშილი და სნეულება მუსრს ადენდა!..

აი ამ ცეცხლითა და მახვილით აოხრებულ ადგილებს მოევლინა მხსნელად და მცველად პესტალოცი. იმან ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორედ გახსნა თავშესაფარი, მოაგროვა, დაობლებული და უბინაო ბავშვები და დაუწყო მოვლა და აღზრდა. ახლა მთავრობამაც გაუწოდა ხელი ამ საქმეს და დაუთმო ერთი მიყრუებული, მინგრეულ-მონგრეული მონასტრის ნოტიო და ცივი შენობა, რომელსაც დიდი შეკეთება სჭირდებოდა, რომ სადგომად გამომდგარიყო. მაგრამ შეკეთებისათვის ვილას ეცალა, როცა ბავშვები შუა ზამთარში სიცივითა და სიმშილით იხოცებოდნენ.

თავშესაფარი ისეთი ღარიბი იყო, რომ არა თუ თანაშემწის, მოსამსახურის დაჭერის საშუალებაც არა ჰქონდა. მაგრამ პესტალოცი ამასაც არ შეუშინდა და სიხარულით, მხნედ და დიდი იმედებით შეუდგა საქმეს მარტოდ მარტო. მალე ნახევრად დანგრეულ მონასტრის შენობა აივსო დაფლეთილ ჭუჭყიან, და გარყვნილ ბავშვებით.

დიდი მოთმინება, მეცადინეობა და ბრძოლა დასჭირდა პესტალოცს ამ საქმეში. ზოგიერთ ბავშვების პატრონებს თავშესაფარი „რაღაც სისულელედ“ და პესტალოცი უნიჭო და გამოუსადეგარ კაცად მიაჩნდათ; ბავშვებს მარტო იმიტომ გზავნიდნენ, რომ ახალი ტანისამოსით შეემოსათ, და მერე ისევ მიჰყავდათ; ზოგი ჯამაგირსაც თხოულობდა ბავშვების მოცდენისათვის, ზოგი მასხარად იგდებდა პესტალოცს და სხ. თვით ბავშვებზედაც დიდი შრომა იყო საჭირო. უწესოებას შეჩვეული, ბინძური, გაუფთხილებელი, სიავ-კარგისა და ბოროტება-სიკეთის გაურჩეველი, უზრდელი ბავშვები შეუპოვარ ლაშქარს წარმოადგენდნენ, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა სწორედ შეუძლებელი იყო სხვა კაცისათვის, მაგრამ ჰენრიხ პესტალოცისათვის კი არა. ის მასწავლებელიც იყო, აღმზრდელიც, ზედამხედველიც, ეკონომიც, მზარეულიც, მოსამსახურეც, ექიმიც, დარაჯიც და ყველაფერი.

ყოველივე ეს შესძლო ერთმა კაცმა, და ნახევარი წლის შემდეგ მოწაფეებს ველარც კი იცნობდით: ისინი გახდნენ ფაქიზ, მშვიდ, მშრომელ და ხრდილობიან ბავშვებად, რომლებიც სულში იძვრენდნენ „კეთილ მამას“. ხალხის შეხედულობაც სრულიად გამოიცვალა აღმზრდელის შესახებ. წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნად რომ სასაცილოდ იგდებდნენ „ვიღაც ოხერსა და ბოზ-სადეგარ“ პესტალოცს, ახლა ხელებს უკოცნიდნენ „დიდებულ მოღვაწესა და დახელოვნებულ ოსტატს“.

რა იყო მიზეზი ასეთი სასწაულისა?—სიყვარული. დიახ, ამ იარაღით დაიმორჩილა და შეითვისა პესტალოცმა ბავშვებიც და ხალხიც.

ერთს თავის წერილში პესტალოცი მეტად გრძნობიერად და გულსაგმირად მოგვითხრობს, თუ როგორ მიდიოდა მისი საქმე: „მე მარტოდ-მარტო ვიყავ ბავშვებთან და თუ-ცა ასეთი უმწეო მდგომარეობა ერთის მხრით მძიმე უღელივით მაწვა კისერზე, მაგრამ მეორე მხრით ხელს უწყობდა ჩემი მიზნის განხორციელებას: გათენებიდან დაღამებამდი ბავშვები ჩემს მეტს ვერავის ხედავდნენ. და მარტო მე შემომცქეროდნენ. ყოველსავე სიკეთეს, როგორც ხორციელ, ისე სულიერ მოთხოვნილებისას ჩემგნით მოელოდნენ, ჩემში ეძიებდნენ და პოვობდნენ. მე ვშველოდი იმათ, მე ვასწავლიდი, მე ვემუსაიფებოდი. ისინი მე შემომცქეროდნენ თვალებში, მე შემომყურებდნენ ხელებში, როცა რამე სჭირდებოდათ. იმათ ცრემლებს ჩემს ცრემლს ვუერთებდი, როცა სატირელი ჰქონდათ; მათ სიცილს ჩემი ღიმილი შეხვდებოდა, როცა მხიარულობდნენ .. ისინი მოწყვეტილი იყვნენ ქვეყნიერებას,—მარტო მე ვიმყოფებოდი მათ შორის და ისინი—ჩემთან.. რასაც ისინი სჭამდნენ, მეც იმას ვჭამდი, რასაც ისინი სვამდნენ —მეც იმას ვსვამდი, საცა იმათ ეძინათ,—მეც იქ მეძინა. მე ვწვებოდი მაშინ, როცა ყველანი დაიძინებდნენ, ვდგებოდი იმ დროს, როცა ჯერ ყველას ეძინა. ერთად ელოცულობდით, ერთად ვევედრებოდით ღმერთს და სანამ დაიძინებდნენ, მე ვემუსაიფებოდი, რითაც ან ვართობდი, ან ვასწავლიდი რასმე, —ეს იმათ სურვილზე იყო დამოკიდებული... მე არაფერი არ მებადა—არც სახლ-კარი, არც მოსამსახურეები, არც მეგობრები, მარტო ბავშვები იყვნენ ჩემი ნუგეში. როცა კარგად იყვნენ, მეც მათში დავტრიალებდი, თუ ავად გახდებოდნენ—გვერდიდან არ ვშორდებოდი... მე ვუვლიდი იმათ. მე ვპატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რონობდი და მალე შეეჩვევნენ იმის დაფასებას, რაც მათ-ვის მსურდა. როცა ვინმე უსიამოვნებას და შეურაცყოფას მომმაყენებდა, ჩემი მოსარჩლე, მცველი და მფარველი ეს უპატრონო, ღარიბ ღატაკი საცოდავი ბავშვები იყვნენ. ისინი გრძნობდნენ უსამართლობას, რომელსაც მე მაყენებდა ვინმე, და ამის შემდეგ უფრო მიახლოვდებოდნენ... და მე მრწამდა, რომ ჩემი მათდამი გულწრფელი სიყვარული ნაყოფს გამოიღებდა და ისე შესცვლიდა, გააუმჯობესებდა ჩემს ბავშვებს, როგორც ცივ და უსიამოვნო ზამთრისაგან გაყინულ-მიძინებულ მიწის ნიადაგს სცვლის გაზაფხულის თბილი და მაცოცხლებელი მზის სხივი.“

ერთხელ ერთ მახლობელ სოფელს ცეცხლი მოუკიდეს. მთელი სოფელი გადაიბუგა და უსახლ-კაროდ დარჩა. პესტალოცი მაშინვე პატრონად გაუჩნდა უბინაოდ დარჩენილ ბავშვებს. იმისმა კეთილმა გულმა ვერ მოითმინა საცოდაობა და უბედურობა, შემოიკრიბა გარშემო თავისი მოწაფეები და ასეთი მუსაიფი დაუწყო:

— ხომ ნახეთ, შვილებო, რომ მთელი სოფელი გადასწვეს? ვინ იცის, რამდენი ბავშვი დარჩა ულუკმა-პუროდ, უბინაოდ და ტიტველი!.. არ გინდათ, ისინიც ჩვენთან მოვიყვანოთ და პატრონობა გავუწიოთ?

— როგორ არ გვინდა! ძალიან კარგი იქნებაო! მიუგეს ბავშვებმა ერთხმად.

— ისიც ხომ იცით, ჩემო ანგელოზებო, რომ ჩვენ ნაკლებადა ვართ, და ისინი რომ ავიყვანოთ, მაშინ შრომას უნდა ვუმატოთ და ჭამას მოვუკლოთ! ამ პირობითაც გსურთ ავიყვანოთ ბავშვები და უბედურობისაგან დავიხსნათ?

— გვსურს! გვსურს! თანახმა ვართ, რომ მეტი ვიმუშავოთ და ჭამას მოვუკლოთ! უთხრეს სიხარულით ბავშვებმა.

ამ გვარად მიიღეს ბავშვები, გაუნაწილეს თავიანთი მცირე ლუკმა, ტანისამოსი და ლოგინი, როგორც ღვიძლ ძმებს!.

როდესაც მოწაფეებს სიყვარულისა და მადლობის გამოცხადება უნდოდათ „კეთილ მამისთვის“, ის ასე ეტყოდა ხოლმე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემი სიხარული და უძვირფასესი ჯილდო თქვენი მხრით ის იქნება, შვილებო, როდესაც თქვენც დახმარებას გაუწევთ უპატრონო ბავშვებს და ასწავლით, როცა გაიზდებით“.. ეს სიტყვები საშინელ ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა ბავშვების ნორჩ გულში...

—

რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ იფეთქა ომმა და პესტალოცი იძულებულ იქმნა დაეხურა თავშესაფარი. იმან დალოცა ბავშვები, შემოსა ახალი ტანისამოსით, აჩუქა ფული, მისცა დარიგება და გამოეთხოვა.

აი რამდენიმე მცნება პესტალოცისა მოწაფეებისადმი:— გიყვარდეს ამხანაგები, როგორც ძმები.—მოწყალებით მოექეც და გაუფთხილდი შენზედ უმცროსს.—ეცადე, სამაგალითო იყო ყველასათვის.—ნუ გადაუხდი სიბოროტეს სიბოროტით და ნუ დამარხავ გულში ღვარძლს.—ნუ გაუამხანაგდები იმას, ვისაც ცუდი განზრახვა აქვს და ეცადე ააცდინო ის ამ გზას.—ნუ იქნები მოშურნე, მაგრამ მიბაძე კი იმას, ვინც შენზე ჭკვიანი და მოხერხებულია.—არ დააბეზღო ამხანაგი იმ მიზნით, რომ მას ევნოს რაიმე.—ნუ დასცინი უვიცს, სახიჩარსა და გლახას; გებრალებოდეს ისინი და ეცადე შემწეობა გაუწიო.—არავინ გალანძღო და არ სცემო; სხვისი არა მიითვისო-რა.

—

ბოლოს პესტალოცი მოიქანცა შრომით, ჯანი გაუტყდა, დასნეულდა და საექიმოდ წავიდა წყლებზე. მაგრამ დაუღალავი მოღვაწე ვერსად ვერ დგებოდა უსაქმოდ. როცა ცოტათი მოკეთდა, ჯერ მასწავლებლის თანაშემწედ გახდა ერთ სასწავლებელში და მერე ამავე სასწავლებლის გამგედ. აქედან ის თავის მოწაფეებითა და ამხანაგ მასწავლებლებით გადავიდა ივერდონში და გახდა მასწავლებელთა მასწავლებლად, და დიდ სახელოვან კაცად. იმის სასწავლებელს მრავალი მოწაფე მოაწყდა სხვა და სხვა მხრიდან. მასთან მოდიოდნენ მასწავლებლები სწავლის მისადებად, სამეფოს წარჩინებული პირნი და თვით მეფეებიც სანახავად. ყველა ქვეყნებში იბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებდნენ პესტალოცის ხელმძღვანელობით გაწრთვნილ მასწავლებლებს და ავრცელებინებდნენ სწავლას მის მიერ შემოღებულ წესზე ავსტრიასა, გერმანიასა, რუსეთსა და ესპანიაში.

პესტალოცის სამაგალითო სასწავლებელში, ითვლებოდა 160 მოწაფე და 15 მასწავლებელი; 30-ზე მეტი კიდევ მსმენელებად მოსული მასწავლებლები იყო.

თავის თხზულებებში პესტალოცმა დიდ ძალი ფული მიიღო. ეს ფულები სულ ღარიბ ბავშვების თავშესაფარის დასაარსებლად შესწირა და თვითონ გადავიდა შვილი-შვილთან ნეიგოფში. გარდაიცვალა 81 წლის. მოხუცებულ პესტალოცის საფლავზე ხალხმა ააგო დიდებული ძეგლი შემდეგ შესანიშნავ ზედ წარწერით:

ჰენრიხ პესტალოცი

დაიბადა ციურიხში 12 იანვარს 1746 წელს, გარდაიცვალა 17 თებერვალს 1827 წელს.—ღარიბთა მხსნელი, ნეიგოფში.—(საერო მოძღვარი ლინჰარდსა და ჰერტრუდაში)—ობოლთა მამა ხტანცში,—საერო სკოლის დამფუძნებელი,—ხალხის აღმზრდელი,—ადამიანი, ქრისტიანი და მოქალაქე.—ყოველივე სხვებისთვის, არა რა თავისთვის.—კურთხეულ იყოს სახელი მისი!

თეო კანდელაკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საჩქაფუნო

იშოვეთ კარგად გამხმარი ლერწამი; ლერწამს. მთელ სიგძეზედ ალაგ-ალაგ საღსრები აქვს. გამოსჭერით იმ ზომის ნაჭერი რაც მოთავსებულია ორ საღსარ შუა, და ფულურო მისი გული კარგად გამოასუფთავეთ. იშოვეთ ბოთლის საცობი პრობკა და ერთი თავი ლერწმისა მაგრად დაუცეთ ნახატი № 1 ასო ა და შუა გული ლურსმით გახვრიტეთ (დ). მერმედ გამოსჭერით ხის ტარი (№ 2), რომ ლერწმის გულში თავისუფლად მოქმედობდეს. ამ ხის ტარის ერთი თავი ისე უნდა იყოს ჩაჭრილი, როგორც აქ არის ნაჩვენები (ნახატი № 2, ასო „ზ"). გამოსჭერით რგვალი პრობკა, რომელიც ლერწმის გულში არც გაჭედილი იყოს, და არც თავისუფლად ლაყლაყებდეს. წამოაცვით იგი ხის ტარზედ იმ ალაგას, საცა ჩაჭრილია (ზ) და გაუყარეთ ლერწმის გულში, როგორც არის ნაჩვენები ნახატში № 1. ასო "ბ" წარმოადგენს პრობკას, „ე" ხის ტარს და „თ" იმ რიკს, რომლითაც დამაგრებულია პრობკა, რომ ეს უკანასკნელი არ მოშორდეს ტარს. ამ ნაირს ერთიან მოწყობილობას ჰქვიან საჩქაფუნო, აიღეთ ეს საჩქაფუნო, ერთი ხელით დაიჭირეთ ლერწამი, მეორით ჩაავლეთ ტარს („ე"). ის თავი საჩ-



საჩქაფუნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქაფუნოსი საცა აწერია „დ“ ჩაჰყავით წყალში და ტარი გამოსწიეთ, ისრე, რომ საჩქაფუნოს თავი წყალს არ დაშორდეს, ნახავთ, რომ საჩქაფუნო წყალს შესრუტამს. ეხლა მიუბრუნეთ პირი საჩქაფუნოს და მიაწექით ხის ტარს—საჩქაფუნო წყალს გამოაქცევს და ისრე მაგრად, რომ კარგა მანძილზედ გადისვრის წყლის ჩქაფს.

ამ ერთის შეხედულობით ბავშურ გამოგონებას, მრავალნაირად გადაკეთებულს და განვითარებულს, გამოუთქმელი სარგებლობა მოაქვს ადამიანის ცხოვრებაში. ავიღოთ მაგალითად ცეცხლის საქრობი საჩქაფუნო, რომელიც თითქმის იმნაირად არის მოწყობილი, როგორც აქ აწერილი, მაგრამ ცეცხლის საქრობს ამუშავებს ერთი და ორი კაცი კი არა-ათი და თორმეტი. არის იმისთანა საჩქაფუნები, რომლებიც მოქმედებენ ორთქლის მანქანებით და ზოგი წყლის ჩარხებით. ამ უკანასკნელთ, ესე იგი წყლის ჩარხებს **ტურბინას** ეძახიან. თბილისში წყალი მოდის ავჭალიდან. აქაც საჩქაფუნოს წყალობით არის ეს მოწყობილი. ავჭალიდგან თბილისამდის მილი არის გამოყვანილი, მაგრამ ლერწმისა კი არა, მძიმე, მაგარი თუჯისა. ავჭალაში მილის თავში საჩქაფუნოა მოწყობილი, რომელიც დღე და ღამ, ისვრის წყალს რკინის მილებით ქალაქისკენ. თბილისში ეს წყალი ურიგდება ოჯახებში ვისაც რამდენი უნდა. ამ ჟამად თავდება ბაქოში დიდი საჩქაფუნო, რომელიც ბაქოდან ბათუმში, (900 ვერსია), კეროსინს გამოგზავნის.

ბოლოს ისიც ვსთქვათ, რომ ადამიანის გული ისრეა მოწყობილი, როგორც ჩვენი პატარა საჩქაფუნო. გული ყოველ ერთ წუთში რაც კი ადამიანის სხეულში სისხლია ორჯელ შემოიტრიალებს: მოიყვანს გულში და გაჰგზავნის ისევ უკან სხეულში. ჩვენ რომ ვიტყვით გული სცემსო, მაშინ იგი სისხლსა სჩქეფს ადამიანის სხეულში.

ვ. ნიკოლაძე

გაპარული მანათი.

გამოართვით რომელსამე მაყურებელს ვერცხლის მანათი და ცხვირსახოცი. ეს უკანასკნელი გადააფარეთ მანათს ისე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ბოლოები ძირს დაეკიდოს. ცხვირსახოც გადაფარებულს მანათი დააჭერინეთ ვისმე წყლით სავსე ჭიქის თავზე. შემდეგ ნება მიეცით, ხელსახოცი დაიტოვოს, ხოლო მანათი ჭიქაში ჩაუშვას. მანათი ჭიქაში ჩავარდნის დროს ხმას გამოიღებს. შეულოცეთ ცხვირსახოცს, ორჯერ-სამჯერ მოუქნიეთ წკეპლა ჭიქას, და მოაშორეთ ცხვირსახოცი. საკვირველი რამ მოხდება: მანათი სადღაც გაიპარება. ცოტა ხანს უკან გაპარულ მანათს ჰაერში დაიჭერთ.

ახსნა. წინადვე უნდა მალულად იქონიოთ მანათის მსგავსი მრგვალი თეთრი შუშა. შესცვალეთ შეუმჩნეველად ნამდვილი მანათი ამ შუშით იმ დროს; როდესაც ცხვირსახოც გადაფარებულს მანათს სხვას აძლევთ ჭიქის ზემოთ დასაჭერად. ჭიქაში, მაშასადამე, ნამდვილ მანათიანის მაგივრად ჩავარდება უბრალო შუშა, რომელიც წყალში შეუმჩნეველი რჩება. ჭიქა უნდა იყოს მომრგვალებული სქელი ძირით. ნამდვილი მანათი, უნდა გქონდეთ დამალული ხელში. ამ ხელს ჰაერში აიქნევთ და გაპარულს მანეთიანს, ვითომც და ჰაერში დაჭერვას აჩვენებთ მაყურებელთ, ჭიქას შეინახავთ. მანათის მსგავსი შუშის გამოჭრა ყველასთვის შესაძლოა: აიღეთ მარცხენაში შუშის ნაჭერი, მარჯვენაში მაგრატელი, ჩაჰყავით ხელები იდაყვამდე წყალში და შიგ გამოსჭერით მრგვალი შუშა: შუშა წყალში ისე იკრება როგორც კარდონი.

გიგო ჯაფარიძე

რ ე ბ უ ს ი

ქ ე ბ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა







მე-6 №-ში მოთავსებულ რებუსის ალსნა:

ლუკა ტატოს უყვირის.

ოედაქტორი მ. ი. დემურია. გამომც. **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოველ დღიური გაზეთი
„ამირანი"

მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის.

გაზეთის ფასი:

წლით როგორც ქალაქში,	ისე ქალაქს გარედ	—	7 მანეთი.
ნახევარი წლით	„ „	„ —	4 მანეთი.
ერთი თვით	„ „ „	„ —	90 კაპ.

მიიღება ხელის-მოწერა ყოველთვიურ სამეცნიერო პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ

„განათლება"-ზე

(წელიწადი პირველი)

წლიური ფასი ხელის-მომწერთათვის 5 მანეთი, ნახევარი წლით—3 მანეთი. სამი თვით 1 მან. 60 კაპ.

ტფილისში ხელის-მოწერა მიიღება „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში; „ნაკადულის" რედაქციაში და „იდეალის" სტამბაში (კიკნაძესთან) ნიკოლოზის ქუჩა № 6.

ქუთაისში—წიგნის მაღაზია „იმერეთში" ისიდორე კვიცარიძესთან.

открыта подписка на 1908 годъ
на газету
ЗАКАВКАЗЬЕ
ТРЕТІИ ГОДЪ ИЗДАНІЯ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлиссѣ:		Съ пересылкой въ другіе города	
на годъ	6 руб.—коп.	на годъ	8 руб.—коп
на полгода. . .	3 руб. 50 ко	на полгода	4 руб. 50 коп

Помѣсячно повсюду 75 коп., отдѣльный № 5 коп. Заграницей вдвое

Тифлиссъ Головинскій пр., д. Манташева, № 6.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა

1908 წლის იანვრიდან 1909 იანვრამდის.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

(წელიწადი მეოთხე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

პრემიები: 1-ლი, **„1908 წლის კედლის კალენდარი 12-ი სურათით“**. 2-რე, **„თომას თავგადასავალი“ მარკტვენისა.**

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი 36 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას.

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: **მ. ი. დემურია.**
გამომცემელი: **თავ. პ. ი. თუმანიშვილი.**